

ელიზაბეტ ბეიდერი\*

ანა მღვდელაძე (მთარგმნელი)\*\*

## მედიაციის ფსიქოლოგია: პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხი და IDR ციკლი\*\*\*

### შესავალი

თვითიდენტობა და თვითშეფასება მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოლაპარაკებისა და მედიაციის პროცესში, როგორც მხარის მოთხოვნილება „შეინარჩუნოს სახე“ ან პიროვნების „ეგოს“ აზროვნების დაბინდვა,<sup>1</sup> შეიძლება გამოიხატოს ტერმინით - „ნარცისული საკითხები“, რომელიც არ გულისხმობს პათოლოგიას.<sup>2</sup> მარტივად რომ ითქვას, ადამიანების უმეტესობა კონფლიქტს იღებს პირადად და მედიაციის შედეგს - ანარეკლს, თუ ვინ არიან ისინი.

პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხები ბადებს მტკივნეულ კითხვებს, თუ ვინ ვართ ჩვენ. ფსიქოანალიტიკური განვითარების თეორია ამ კითხვებს ბავშვობაში პიროვნულობის განვითარების გაანალიზების საფუძველზე პასუხობს.<sup>3</sup> მრავალი რელიგიური ტრადიცია ამტკიცებს, რომ როგორც არ უნდა განვითარდეს ის, ეგო, ჩვენი ჩვეული გრძნობა, თუ ვინ

\* ელიზაბეტ ბეიდერის კონფლიქტის გადაწყვეტის ცენტრი, 580 კალიფორნიის ქუჩა, Suite 500, სან ფრანცისკო, კალიფორნია 94104; ტელ.: (415) 391-7272; ფოსტა: elizabeth@elizabethbader.com. სტატია ეძღვნება Jesse L. Judnick-თან მეგობრობასა და მადლიერებას. ავტორი მადლობას უხდის გამოხმაურებისთვის: ჯინ ფაჰს, ჰერბერტ ფინგარეტს, ჯუდი გორდონს, ჯესი ელ ჯუდნიკს, ფეისალ მუკადამს, ჯორჯ საიგერს, უილიამ სინგლეთარს, ლესლი ველბაუმსა და მეგი ზელნერს.

\*\* თარგმანი შესრულებულია ანა მღვდელაძის (სსიპ საქართველოს მედიატორთა ასოციაციის მედიატორთა ერთიანი რეესტრის წევრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრანტი, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრის სტაჟორი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა წელიწადულის“ სარედაქციო ჯგუფის წევრი) მიერ. <https://orcid.org/0009-0002-8421-9968>.

\*\*\* წინამდებარე ნაშრომი თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Elizabeth E. Bader, The Psychology of Mediation: Issues of Self and Identity and the IDR Cycle, *Pepperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol.10:2, 2010, 183-214.

<sup>1</sup> იხ. e.g., Judith B. White et al., *Face Threat Sensitivity in Negotiation: Roadblock to Agreement*, 94 *Organizational Behav. & Hum. Decision Processes* 102 (2004) (მოლაპარაკების დროს სახის დაზოგვის განხილვა); Richard Birke & Craig R. Fox, *Psychological Principles in Negotiating Civil Settlements*, 4 *Harv. Negot. L. Rev.* 1, 15-19 (1999) (მხარეთა ხშირი „ეგოცენტრული“ მიკერძოებებისა და პოზიტიური ილუზიების განხილვა).

<sup>2</sup> ტერმინს „ნარცისიზმი“ თავდაპირველად ჰქონდა ავტოეროტიკული და, შესაბამისად, დამამცირებელი კონოტაცია. იხ. e.g., Sigmund Freud, *On Narcissism: an Introduction*, in the Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud (James Strachey et al. trans., 1966), reprinted in *Essential Papers on Narcissism* 17 (Andrew P. Morrison ed., 1986) [hereinafter *Essential Papers*]. ეს ასე აღარ არის. იხ. Leonard Horwitz, *Narcissistic Leadership in Psychotherapy Groups*, 50 *INT'L. J. Group Psychotherapy* 219-20 (2000) (ძველი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ნარცისიზმი ახლა განიხილება როგორც „ყველა ადამიანის მიერ საზიარო“ და „სასიცოცხლო... ისევე როგორც ტემპერატურის, სუნთქვის და გულისცემის ფიზიოლოგიური ფუნქციები“).

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი I.

ვართ, სინამდვილეში არის ილუზია და შეზღუდვა.<sup>1</sup> უკანასკნელ წლებში, ამ ორ პოზიციას შორის არსებული სიცარიელის შევსების რამდენიმე მნიშვნელოვანი მცდელობა იყო.<sup>2</sup> მიუხედავად ამისა, პიროვნების ბუნება და მისი იდენტობა საიდუმლოდ რჩება.

სტატიაში პიროვნულობა განხილულია ნეირომეცნიერების<sup>3</sup> და სოციალური ფსიქოლოგის<sup>4</sup> პერსპექტივიდან, მედიაციის კონტექსტში. ფსიქოლოგიურ დონეზე, მედიაციის პროცესში მონაწილე მხარეები, როგორც წესი, გადიან ნარცისული ინფლაციის, დეფლაციის და შემდეგ, იმედია, რეალისტური გადაწყვეტის ეტაპებს. მე ამას IDR ციკლს ვუწოდებ.<sup>5</sup> ეს პროცესი მოითხოვს პიროვნულობის სიძლიერეს: ძირითადი, მარტივი, ჯანსაღი ეგოს დონეზე, განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე, თუმცა, ჩიხსა და სხვა „კრიტიკულ მომენტებში“,<sup>6</sup> თუ მხარეებს გადაწყვეტილების მიღწევა სურთ, შეიძლება მოუწიოთ თავიანთი ფსიქოლოგიური ინვესტიციების გამოთავისუფლება მოლაპარაკების შედეგში. ამრიგად, გაშვების უნარი წარმოადგენს მედიაციის ფსიქოლოგიის კრიტიკულ ასპექტს.

მედიაციის პროცესში წამოიჭრება მედიატორის პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხი. კრიტიკულ მომენტებში, მედიატორსაც შეიძლება მოუწიოს ნარცისული თვითინვესტიციის განცდისგან გათავისუფლება. ამდენად, ჩვენი, როგორც მედიატორის სარგებლიანობა ხშირად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად ვისწავლეთ პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხებთან გამკლავება, არა მხოლოდ სხვებში, არამედ საკუთარ თავშიც.

## I. ფსიქონალიტიკური თეორია პიროვნულობისა და თვითიდენტობის გრძნობის განვითარების შესახებ

აღიარებულია, რომ მოლაპარაკებისა და მედიაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხები.<sup>7</sup> „განჭვრეტადია თუ დადგენილი, ღრმად გავრცელებულ ღირებულებებსა თუ არარელევანტურ საკითხებზე, კონფლიქტი წარმოშობს ეგო-საფრთხეს“,<sup>8</sup> რაც მნიშვნელოვნად ართულებს კონფლიქტის მოგვარებას.<sup>9</sup> როდესაც მხარის სიამაყე იჭრება მოლაპარაკების პროცესში, მისაღები შეთავაზებები შეიძლება უარყოფილი იქნას სიბრაზის გამო.<sup>10</sup>

<sup>1</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი II. A, B.

<sup>2</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი II.B.

<sup>3</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი II.B.

<sup>4</sup> იხ. ქვემოთ შენიშვნები 15, 95-107, 146-147, 167 და თანმხლები ტექსტი.

<sup>5</sup> იხ. ქვემოთ ნაწილი IV.

<sup>6</sup> კრიტიკული მომენტები მოლაპარაკებებში გარდამტეხი წერტილებია, წერტილები, რომლებშიც მნიშვნელობის ცვლა მიმდინარეობს. იხ. e.g., Lawrence Susskind, *Ten Propositions Regarding Critical Moments in Negotiation*, 20 *Negot. J.* 339, 339-340 (2004).

<sup>7</sup> Tom R. Tyler, *The Psychology of Disputant Concerns in Mediation*, 14 *Negot. J.* 367, 371 (1998) („ის, რაც დავის გადაწყვეტის კვლევის შედეგად ირკვევა, არის უდიდესი მნიშვნელობის რომელსაც ხალხი... უნდა მოექცეს ისე, რომ გაძლიერდეს თვითშეფასებისა და პიროვნული ღირსების გრძნობა“); Bert R. Brown, *The Effects of Need to Maintain Face on Interpersonal Bargaining*, 4 *J. Experimental Soc. Psychol.* 107, 109 (1968) (სახის დაზოგვის შესახებ ადრეული კვლევის განხილვა); White, *შენიშვნა 1*, გვ. 102 (სახის მნიშვნელობის აღნიშვნა „დიდი ხანია აღიარებულია“). იხ ასევე, Douglas Stone et al., *Difficult Conversations, How to Discuss What Matters Most* 111 (1999) („რთული საუბრები საფრთხეს უქმნის იდენტობას“); Madan N. Pillutla & J. Keith Murnighan, *Unfairness Anger and Spite: Emotional Rejections of Ultimatum Offers*, 68 *Organizational Behav. & Hum. Decision Processes* 208, 210 (1996) მოლაპარაკებებში დაზიანებული სიამაყისა და ზიზღის განხილვა.

<sup>8</sup> Carsten W. De Dreu & Dan van Knippenberg, *The Possessive Self as a Barrier to Conflict Resolution: Effects of Mere Ownership, Process Accountability, and Self-Concept Clarity on Competitive Cognitions and Behavior*, 89 *J. Pers. and Soc. Psychol.* 345, 355 (2005).

<sup>9</sup> Kenneth Cloke, *Mediation, Ego and I: Who, Exactly, Is in Conflict?* in *Handbook of Contemporary Psychotherapy: toward an Improved Understanding of Effective Psychotherapy* 117, 118 (William O'Donohue & Steven R. Graybar eds., 2008) („ეგოსთან“ და „მე“-სთან დაკავშირებული საკითხები არის „კონფლიქტის გადაწყვეტის ცენტრალური პრობლემა“).

<sup>10</sup> იხ. Roy F. Baumeister & David A. Butz, *Roots of Hate, Violence and Evil*, in *The Psychology of Hate* 87, 94-95 (Robert J. Steinberg ed., 2005) (citing Brown, *შენიშვნა 10*). იხ. ასევე, Robert S. Adler et al., *Emotions in Negotiation: How to*

ფასდაუდებელი სამუშაოა განეული ქცევითი და სოციალური ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან გამომდინარე,<sup>1</sup> თუმცა, ეს პერსპექტივები არ ეხება „მე“-ს ბუნებას, ასევე პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების წამოჭრის მიზნებს მოლაპარაკებისა და მედიაციის დროს.<sup>2</sup> ფსიქოანალიტიკური განვითარების თეორიას შეუძლია ამ კითხვების გადაწყვეტაში დახმარება.<sup>3</sup>

## 1. მარგარეტ მალერი გამოყოფის/ინდივიდუალიზაციის შესახებ

ზიგმუნდ ფროიდმა, ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა, განავითარა, ამჟამად ცნობილი თეორიები ბავშვობის გამოცდილების მნიშვნელობისა და შემდგომი განვითარებისთვის, ძირითადად ექსტრაპოლაციის მეთოდით, ზრდასრულთა მოგონებებისა და ფანტაზიების ანალიზის საფუძველზე.<sup>4</sup> ფროიდის შემდეგ მრავალი ანალიტიკოსი კონცენტრირდა ჩვილებისა და ბავშვების დაკვირვებაზე.

მარგარეტ მალერმა და კოლეგებმა დაიწყეს პიროვნულობის შეგრძნების განვითარების გზების შესწავლა ჩვილების დედებთან ურთიერთობისას 1950-იანი წლების დასაწყისიდან და შემდგომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.<sup>5</sup> მალერმა დაასკვნა, რომ ჩვილი ბავშვი დაბადების შემდეგ ძირითადად ძილის მსგავს „აუტისტურ“ ფაზაშია.<sup>6</sup> დაბადებიდან სამი-ოთხი კვირის შემდეგ ჩვილი, საკუთარ თავს<sup>7</sup> და დედამისს განიცდის როგორც შემოსაზღვრულს.<sup>8</sup> დედის „არეკვლა“ და ურთიერთგაგება ხელს უწყობს იდენტობის ფორმირებას.<sup>9</sup> სენსორული განსხვავება საკუთარ თავსა და სხვას შორის მარტივი ფორმით იწყება დაახლოებით ოთხიდან ხუთ თვეში „დიფერენციაციის ქვეფაზის“ ადრეულ ეტაპებზე.<sup>10</sup>

---

*Manage Fear and Anger*, 14 *Negot. J.* 161, 173-174 (1998) (განმარტავს, რომ გაბრაზებულმა ოპონენტებმა შეიძლება „დაიჭირონ ისეთი პოზიციები, რაც მათ გარკვეული თანხა დაუკდებათ ან თუნდაც ომების მაპროვოცირებელი იქნება“); Pillutla & Murnighan, *შენიშვნა* 10, გვ.211 („წარმოდგენებმა, რომ შეთავაზება უსამართლოა, შეიძლება გამოიწვიოს აღშფოთება და სიამაყის შელახვა და, საბოლოო ჯამში, უფრო დიდი ალბათობაა იმისა, რომ შეთავაზება იქნეს უარყოფილი“); Eric van Ginkel, *The Mediator as Face-Giver*, 20 *Negot. J.* 475, 479 (2004) („მოქნილობის შემცირება, მოლაპარაკების პროცესში, შეიძლება იყოს შემფოთების მანიშნებელი“); Morton Deutsch, *The Face of Bargaining*, 9 *Operations Res.* 886, 896 (1961) (same). სახის საკითხებზე, ზოგადად სოციალურ ურთიერთობებში, კლასიკური ნაწარმოებია Erving Goffman-ის, *On Face-Work: An Analysis of Ritual Elements in Social Interaction*, in *Interaction Ritual: Essays in Face-to-Face Behavior* 5-46 (Transaction Publishers ed. 2005), 1967.

<sup>1</sup> იხ. Max H. Bazerman et al., *Negotiation*, 51 *Ann. Rev. Psychol.* 279, 280-86 (2000) (მოლაპარაკების სოციალური ფსიქოლოგიური შესწავლის ისტორიის კრებული).

<sup>2</sup> გარდა ამისა, ეს მიდგომები არ ამახვილებს ყურადღებას ინდივიდებს შორის ფსიქოლოგიური განსხვავების მნიშვნელობაზე. Cf. Bazerman, *შენიშვნა* 14, გვ. 281 (ამტკიცებს, რომ „ინდივიდუალურ განსხვავებებზე“ ფოკუსირება „შეზღუდული გამოყენებისაა“). სოციალურ ფსიქოლოგიაში პიროვნულობის მიმოხილვისთვის, იხ. Matthew D. Lieberman, *Principles, Processes and Puzzles of Social Cognition: An Introduction for the Special Issue on Social Cognitive Neuroscience*, 28 *Neuroimage* 745, 750 (2005) („პიროვნულობა ისეთივე უცნაურია, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენები“).

<sup>3</sup> ამჟამად, ფსიქოანალიზში არსებობს „თეორიული პლურალიზმი“. იხ. Leo Rangell, *An Analysis of the Course of Psychoanalysis, The Case for a Unitary Theory*, 23 *Psychoanalytic Psychol.* 217, 218 (2006). სივრცის უქონლობის გამო, ყველა ამჟამინდელი შეხედულება ვერ განიხილება აქ.

<sup>4</sup> Jay R. Greenberg & Stephen A. Mitchell, *Object Relations in Psychoanalytic Theory* 119 (1983).

<sup>5</sup> იხ. Margaret S. Mahler et al., *The Psychological Birth of the Human Infant, Symbiosis and Individuation* xxiii-xxv (1975) [hereinafter Mahler et al., *Psychol. Birth*]. მალერის შემოქმედების კლასიკურს მიმოხილვა შეიცავს Greenberg & Mitchell, *შენიშვნა* 17, გვ.274-281.

<sup>6</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა* 18, გვ.41 (ე.წ. „აუტისტური ფაზის“ განსაზღვრა).

<sup>7</sup> ამ ნაშრომში ენობრივი ეფექტურობის მიზნით სხვადასხვა დროს გამოიყენება გენდერული ტერმინები, როგორცაა „himself“ ან „herself“.

<sup>8</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა* 18, გვ.44-45 (ე.წ. „სიმბიოზური ფაზის“ განსაზღვრა).

<sup>9</sup> Margaret S. Mahler, *The Selected Papers of Margaret S. Mahler, VOL. II, Separation-Individuation* 86-87 (1979) [hereinafter Mahler, *Selected Papers*]. მაგალითად, დედა ხედავს, რომ ჩვილი ილიმება და სათამაშოს სწვდება. იქვე. შემდეგ, დედას საპასუხოდ ელიმება და ჩვილს სათამაშოს გადასცემს. იქვე. სარკისებური არეკვლა ასევე მოიცავს აქტივობის ნაცნობ ტიპს, როდესაც დედა პასუხობს ჩვილის ხმიანობას მათი გამეორებით, ან როდესაც ის პასუხობს ბავშვის აქტივობას იმავე ან მსგავსი აქტივობით.

<sup>10</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა* 18, გვ.52-54; Greenberg & Mitchell, *შენიშვნა* 17, გვ.275.

სავაჩიშო ქვეფაზა. „სავარჯიშო ქვეფაზაში“, ათი ან თორმეტი თვიდან თექვსმეტ ან თვრამეტ თვემდე,<sup>1</sup> ჩვილი იკვლევს სამყაროს ყოვლისშემძლეობის გრძნობით, რომელიც ძირითადად გამომდინარეობს იმ განცდიდან, რომ ის იზიარებს დედის ძალმოსილებას.<sup>2</sup> ბავშვი თავისუფლად დადის თავდაყირა პოზით, აღტაცებულია და უყურებს „სამყაროს [როგორც] თავის ხამანკას“.<sup>3</sup> ჩვილის ბუნებრივი ნარცისიზმი კი უმაღლეს წერტილს აღწევს.<sup>4</sup>

დაახლოების ქვეფაზა. მეორე წლის შუა პერიოდში ბავშვი იწყებს იმის აღმოჩენას, რომ „მისი ყოვლისშემძლეობის ადრეული ნარცისული გრძნობისგან განსხვავებით, ის სინამდვილეში ძალიან პატარა ადამიანია ძალიან დიდ სამყაროში“.<sup>5</sup> ეს „საშინელი ორის სტადია“ არის ბრძოლისა და კონფლიქტის ეტაპი.<sup>6</sup> ბავშვს სურს და სჭირდება დედის დახმარება, მაგრამ ასევე მას უნდა უარყოფა იმისა, რომ ის სხვებზეა დამოკიდებული.<sup>7</sup>

ეს არის სწრაფვა ამბივალენტურობისკენ, რომ ბავშვმა დედა გონებრივად „დაყოს“ „კარგ“ და „ცუდ“ დედად.<sup>8</sup> ბავშვს ჯერ კიდევ არ შეუძლია აღიქვას სხვები კომპლექსურადამიანებად, რომლებიც ხანდახან დააკმაყოფილებენ მის მოთხოვნილებებს, ზოგჯერ კი გამოიწვევენ მის იმედგაცრუებას.<sup>9</sup> ეს არის „დაახლოების კრიზისი“.<sup>10</sup>

პიხოვნულობისა და ობიექტის მუდმივობა. დედისგან განცალკევება და დამოუკიდებლად ფუნქციონირება შესაძლებელია, როცა უკვე ბავშვს უვითარდება უნარი, გაითავისოს დედის სახე ან გამოსახულება.<sup>11</sup> ბავშვის შინაგანი წარმოდგენა მხარდამჭერი დედისა, ფაქტობრივად, ხდება საიმედო, გონებრივი „ობიექტი“, რომელსაც შეუძლია ენდოს.<sup>12</sup> შემდეგ ის ხდება ნაკლებად დამოკიდებული მის ნამდვილ, ფიზიკურ დედაზე.<sup>13</sup>

ამდენად, „ობიექტის მუდმივობის“ განვითარება - „უნარი, გამოიწვიოს მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი [გონებრივი] ობიექტის თვითდამშვიდება მაშინ, როდესაც ობიექტი არ არის წარმოდგენილი“<sup>14</sup> - წყვეტს დაახლოების კრიზისს, როდესაც ჩვილს უვითარდება დედისა და სხვების გამოსახულების გონებაში შენახვის უნარი, მას შეუძლია საკუთარი პიროვნების წარმოდგენა მომთმენ ადამიანად.<sup>15</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის იძენს „თვითმუდმივობის“ უნარს, რაც გულისხმობს თვითწარმოჩენის უნარსა და საკუთარი თავის, როგორც დამოუკიდებელი ადამიანის გაგებას.<sup>16</sup>

<sup>1</sup> Mahler, Selected Papers, *შენიშვნა 22*, გვ.126.

<sup>2</sup> იქვე, 88.

<sup>3</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.71; Mahler, Selected Papers, *შენიშვნა 22*, გვ.126.

<sup>4</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.70-71; Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.276.

<sup>5</sup> იქვე, 277; Mahler, Selected Papers, *შენიშვნა 22*, გვ.128.

<sup>6</sup> Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.278; Mahler, Selected Papers, *შენიშვნა 22*, გვ.128 (ჩვილის „მძაფრი ნეგატივისა“ და „დრამატული ჩხუბის“ აღნიშვნა დედასთან დაახლოების დროს).

<sup>7</sup> Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.278.

<sup>8</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.84, 229; Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.278 (აღნიშნავს, რომ კარგი და ცუდი წარმოდგენების გაყოფა დაახლოების კრიზისის მახასიათებელია). განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვს სურს „კარგი“ დედა ან „კარგი“ ობიექტი განაცალკევოს მისი აგრესიული ან დესტრუქციული ლტოლვისგან. Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.84, 99, 108.

<sup>9</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.98, 228-229.

<sup>10</sup> იქვე, 95-100, 228-229.

<sup>11</sup> იქვე, 109-10.

<sup>12</sup> იქვე, 110. „ობიექტის“ ფსიქონალიტიკური კონცეფცია კომპლექსურია; მისი კომპლექსურობა ამ სტატიაში სრულად ვერ განიხილება სივრცის უქონლობის გამო.

<sup>13</sup> Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.279.

<sup>14</sup> William K. Hahn, *Developing Object Constancy in Group Psychotherapy*, 43 INT'L. J. Group Psychotherapy 223 (1993) (citing G. Adler, *Borderline Psychopathology & Its Treatment* (1985) and A. H. Modell, "The Holding Environment" and the Therapeutic Action of Psychoanalysis, 24 J. Am. Psychoanalytic Ass'n. 285 (1976)).

<sup>15</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.223 (აღნიშნავს, რომ ბავშვს ასევე განუვითარდება „თვითმუდმივობის საზომი, „მუდმივი ინდივიდუალობის“ გრძნობა, თუმცა ზუსტი პროცესი, რომლითაც ეს ხდება, ძნელი გასაკვლევიან).

<sup>16</sup> იქვე, იხ. ასევე, Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.300-301 (მსჯელობა პიროვნულობაზე, როგორც თვითრეპრეზენტაციაზე მალერის შემოქმედებაში).

პიროვნულობისა და ობიექტის მუდმივობა გულისხმობს საკუთარი თავისა და/ან სხვების დადებითი და უარყოფითი ასპექტების გაერთიანებას მთლიანობაში.<sup>1</sup> საუკეთესო შემთხვევაში, წყვეტს გაყოფას ბავშვობაში.<sup>2</sup> წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვმა შეიძლება გააგრძელოს გონებაში სხვების დაყოფა, როგორც ყველა ცუდი ან ყველა კარგი, მთელი ცხოვრების განმავლობაში.<sup>3</sup> ობიექტის მუდმივობის საშუალებით მოზრდილები მნიფდებიან მთელი ცხოვრების განმავლობაში.<sup>4</sup>

მნიშვნელობა მედიაციისთვის. მალერის ნამუშევრის ვარაუდის მიხედვით, თვითიდენტობის გრძნობა ყალიბდება ადრეული დაპირისპირების გამოცდისას. ის ჩნდება აუცილებლობიდან გამომდინარე, რადგან იძულებული ვართ გავუმკლავდეთ დაპირისპირებას გარემოსთან, მათ შორის, სხვა ადამიანებთან. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი პიროვნულობის შეგრძნება ატარებს ადრეული, ხშირად იმედგაცრუებული, არავერბალური წარმოშობის ნიშანს. სწორედ ამიტომ, ჩვენ განვიცდით დაპირისპირებას, როგორც „მე“-ს ფასეულობასა და თვითარსებობასაც კი.<sup>5</sup>

მეორე მხრივ, როგორც მალერის ნამუშევრებიდან ჩანს, ადამიანის სიმწიფის დამახასიათებელი ნიშანია საკუთარი თავისა და სხვების სტაბილური, მომწიფებული ხედვის შენარჩუნების უნარი, როგორც დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების მქონე ადამიანებთან მიმართებით.<sup>6</sup> გამომდინარე იქიდან, რომ კონფლიქტის თითოეული მხარე მიდრეკილია მეორე განიხილოს როგორც ყოველმხრივ ცუდი „მე“-ს ყოველმხრივ კარგის წინააღმდეგ,<sup>7</sup> მედიაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „პიროვნულობისა და ობიექტის მუდმივობის“ წახალისების გაგება და სწავლა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მალერის მიერ აღწერილი ინდივიდუალიზაციის პროცესის შემდგომი ფაზები თითქმის ანალოგიურია, რასაც მე ვუნოდებ IDR ციკლს, ნარცისული ინფლაციის, დეფლაციის და რეალისტური გადაწყვეტის ციკლს, რომელიც ტიპურად ხდება მედიაციაში.<sup>8</sup> მე მჯერა, რომ მსგავსება არსებობს, რადგან ის, რასაც მალერი აღწერს - და რასაც მედიაცია განასახიერებს - არის რეალობის დატესტვის პროცესი, რომელიც ვითარდება ადამიანებისთვის. ეს ყოველთვის საკამათო და რთული პროცესია, რომელიც არსებითად მოიცავს ნარცისულ გამოწვევებს.<sup>9</sup> IDR ციკლი ასახავს სწორედ ამ დიალექტიკურ პროცესს.

## 2. ინტერსუბიექტივიზმი ადრეულ ასაკსა და მის შემდეგ

დანიელ სტერნმა და სხვა მკვლევრებმა აწარმოეს დაკვირვებითი კვლევები, მათ შორის, ინდივიდუალურად ჩატარებული კვლევები დედებსა და ჩვილებს შორის პირისპირ თამაშთან დაკავშირებით. მათ გააკრიტიკეს მალერის შეხედულებები, განსაკუთრებით ის მოსაზრება,

<sup>1</sup> Hahn, *შენიშვნა 37*, გვ.223 (ობიექტის მუდმივობა მოიცავს პიროვნულობის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტების ინტეგრირების უნარსა და სხვების აღზრდას).

<sup>2</sup> Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.279 („მგრძნობიარე ობიექტის მუდმივობა გულისხმობს ობიექტის კარგი და ცუდი წარმოდგენების გაერთიანებას...“).

<sup>3</sup> Mahler et al., *Psychol. Birth*, *შენიშვნა 18*, გვ.107-108 (აკავშირებს გაყოფას დაახლოებასა და სასაზღვრო დარღვევებში); Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.279 (მსჯელობს იმავე საკითხზე).

<sup>4</sup> იქვე, 279.

<sup>5</sup> უფრო დანვრითებით დაძაბულობის მნიშვნელობის შესახებ ადრეულ, არავერბალურ გამოცდილებას ჩვილობის ასაკში და პიროვნულობისა და ეგოს განცდის შემდგომ განვითარებას შორის, იხ. *ქვემოთ შენიშვნები 108-116* და თანმხლები ტექსტი (მუქადამისა და ალმასის ნაშრომი).

<sup>6</sup> Greenberg & Mitchell, *შენიშვნა 17*, გვ.279 (მალერისთვის ობიექტის მუდმივობა გულისხმობს სხვების კარგი და ცუდი წარმოდგენების ინტეგრირების შესაძლებლობას).

<sup>7</sup> Cf. John Gartner, *The Capacity to Forgive: An Object Relations Perspective*, 27 *J. Religion & Health*, 313, 316 (1988) (გაყოფის განხილვას და სხვების გაგების მნიშვნელობას აქვს როგორც კარგი, ასევე ცუდი მხარე).

<sup>8</sup> იხ. *ქვემოთ ნაწილი IV* (IDR ციკლის განხილვა).

<sup>9</sup> „პიროვნულობის აბსოლუტური მტკიცების სურვილი და ყველაფრის უარყოფა ერთის საკუთარი ფსიქიკური ყოვლისშემძლეობის მიღმა, ხანდახან უნდა დაუპირისპირდეს მეორის დაუოკებელ რეალობას“. Jessica Benjamin, *Like Subjects, Love Objects* 47 (1995) (აქცენტი დასმულია).

რომ მცირე ხნის ჩვილი აუტისტი და სიმბიოტურია.<sup>1</sup> ამის ნაცვლად, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვილს აქვს პიროვნულობის არავერბალური შეგრძნება ჩვილობის ადრეულ დღეებშიც კი.<sup>2</sup>

ამ თვალსაზრისით, ჩვილი თავიდანვე მზადყოფნაშია, რომ დაინტერესდეს სხვებით.<sup>3</sup> ამდენად, ჩვილის განვითარების ამოცანა არა იმდენად დედისგან განცალკევებაა, რამდენადაც კავშირების გაბმა სხვებთან,<sup>4</sup> მათ შორის დედასთან. განსაკუთრებით ხაზგასმულია დედასა და ჩვილს შორის ურთიერთგაგების უნარის განვითარება.<sup>5</sup>

როგორც ჯესიკა ბენჟამინი, ნამყვანი ინტერსუბიექტური თეორეტიკოსი ამტკიცებს, ეს „აძლიერებს [მალერის] გამოყოფა-ინდივიდუალიზაციის თეორიას ... კავშირისა და განცალკევების თანადროულობის ხაზგასმით“.<sup>6</sup> ეს არის „ურთიერთმგრძნობიარე გონებათა ფსიქოლოგია“.<sup>7</sup>

მნიშვნელობა მედიაციისთვის. ინტერსუბიექტური პერსპექტივა ხაზს უსვამს საკუთარი პიროვნების გაგების მნიშვნელობას არა იზოლირებულად, არამედ ადამიანთა ურთიერთქმედების კონტექსტში. შედეგად, ის გვაძლევს საინტერესო შეხედულებებს კონფლიქტისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ.

მაგალითად, ინტერსუბიექტური თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ თერაპიული ჩიხის დროს თერაპევტს შესაძლოა გაუჩნდეს მოთხოვნილება ან სურვილი, კლიენტთან გულწრფელად აღიაროს თავისი უუნარობა კლიენტისთვის ჩიხიდან გამოსვლისა. ამის აღიარება, დამხმარეა, უბრუნებს კლიენტს პასუხისმგებლობას, გადანყვიტოს, პროცესი განაგრძოს თუ არა. ხშირად, ეს არის ზუსტად ის, რაც საჭიროა შედეგამდე მისასვლელად. ანალოგიური პრინციპი გამოიყენება მედიაციის პროცესში ჩიხის არსებობის შემთხვევაშიც.<sup>8</sup>

### 3. მიჯაჭვულობა, მენტალიზაცია და უკუქცევითი ფუნქციონირება

დედასა და შვილს შორის კავშირების (მიჯაჭვულობის) ბუნება ასევე გამოკვლეულია მიჯაჭვულობის კვლევითა და თეორიული განმარტებით. ექსპერიმენტის ერთ-ერთ ეპიზოდში თორმეტი თვის ჩვილებს შეუქმნეს „უცნაური სიტუაცია“ დედების მიერ ოთახის მცირე ხნით დატოვებით. რასაც ფსიქოლოგები „უსაფრთხოდ მიჯაჭვულ“ ჩვილებს უწოდებენ, ამკარად, მაგრამ არა მძაფრად, აღელვებულები იყვნენ, როდესაც დედებმა დატოვეს ოთახი და ბედნიერად მიესალმნენ, როდესაც დაბრუნდნენ ისინი. სხვები ან აფორიაქებული იქნებოდნენ ან, ალტერნატიულად, თავს

<sup>1</sup> Daniel N. Stern, *The Interpersonal World of the Infant* 240 (2000) [hereinafter Stern, *The Interpersonal World*] (მალერის იდეები ადრეულ სიმბიოზთან დაკავშირებით არის „პრობლემური“). იხ. ასევე, იქვე, გვ.xiii (სტერნის განვითარების ხედვის არგუმენტირება „ამორებს „აუტიზმისა“. . . და „სიმბიოზის“ ფაზების კონცეპტუალიზაციის აუცილებლობას“); Phyllis Tyson, *Separation-Individuation, Object Constancy and Affect Regulation, in the Language of Emotions, Development, Psychopathology & Technique* 69, 74 (Salman Akhtar & Harold Blum eds., 2005) [hereinafter *Language of Emotions*] (აუტისტიური და სიმბიოტური იარლიყის უარყოფაზე მსჯელობა). მალერის კრიტიკა ასევე გასცდა ინტერსუბიექტურ თეორეტიკოსებს. იხ. Gyorgy Gergely, *Approaching Mahler: New Perspectives on Normal Autism, Symbiosis, Splitting and Libidinal Object Constancy from Cognitive Developmental Theory*, 48 *J. Am. Psychoanalytic Ass'n* 1197 (2000) (ინტერსუბიექტური და სხვა თეორეტიკოსების მხრიდან მალერის კრიტიკის შეჯამება, მაგრამ ასევე მალერის ნაშრომის უახლეს თეორიებში ინტეგრირება); თუმცა cf. Fred Pine, *Mahler's Concepts of "Symbiosis" and Separation-Individuation: Revisited, Reevaluated, and Refined*, 52 *J. Am. Psychoanalytic Ass'n* 511 (2004) (მალერის კრიტიკოსებს პასუხობს).

<sup>2</sup> Stern, *Interpersonal World*, *შენიშვნა* 49, გვ.xiv, xviii.

<sup>3</sup> Jessica Benjamin, *The Bonds of Love* 18 (1988) (quoting Daniel N. Stern); Daniel N. Stern, *The Present Moment in Psychotherapy and Everyday Life* 85 (2004) [hereinafter Stern, *Present Moment*] („ჩვილები იბადებიან გონებით, რომლებიც განსაკუთრებით ჰარმონიულად არიან სხვა გონებასთან“).

<sup>4</sup> Stern, *Interpersonal World*, *შენიშვნა* 49, გვ.xiii.

<sup>5</sup> Stern, *Interpersonal World*, *შენიშვნა* 49, გვ.xiii.

<sup>6</sup> იქვე, (თუმცა აღნიშნა, რომ დანიელ შტერნი უფრო მეტ განსხვავებას ხედავს ინტერსუბიექტურ თეორიასა და მალერის თეორიებს შორის).

<sup>7</sup> Stern, *Present Moment*, *შენიშვნა* 51, გვ.xvi, 85. იხ. ასევე, Colwyn Trevarthen, *The Concept and Foundations of Infant Intersubjectivity, in Intersubjective Communication and Emotion in Early Ontogeny* 15, 16 (Braten Stein ed., 1998).

<sup>8</sup> ამ პუნქტის დეტალური განხილვისთვის, იხ. *ქვემოთ შენიშვნები*: 178-189 და თანმხლები ტექსტი, განსაკუთრებით შენიშვნა 187.

აარიდებდნენ, უარს იტყოდნენ თუნდაც დედების არყოფნის ან დაბრუნების აღიარებაზე.<sup>1</sup> შემდგომმა კვლევამ ასევე აჩვენა მიჯაჭვულობის დებორგანიზებული სტილი, რომელშიც არ იკვეთება გამკლავების მკაფიო სტრატეგია.<sup>2</sup>

პიტერ ფონაგიმ და მისმა კოლეგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უსაფრთხო მიჯაჭვულობის საშუალებით ჩვილი იღებს ზრუნვას, რომელიც არაპირდაპირ ექცევა ბავშვს, როგორც აგენტს,<sup>3</sup> რაც ხელს უწყობს საკუთარი პიროვნულობის შეგრძნებას. მაგალითად, აღმზრდელი შესაძლოა ასე მიუდგეს ბავშვს და შეეკითხოს: „გსურს საფენის გამოცვლა?“ ან დაუსვას სხვა კითხვები.<sup>4</sup> ეს საშუალებას აძლევს „ბავშვს, რომ აღმოაჩინოს აღმზრდელის გონებაში ... საკუთარი პიროვნება განპირობებული აზრებით, გრძნობებითა და განზრახვებით“.<sup>5</sup> ამ პროცესით ვითარდება თვითმყოფადობის ყველაზე მნიშვნელოვანი გრძნობა.<sup>6</sup> დედობრივი არეკვლა ასევე ეხმარება ჩვილს, გააცნობიეროს და გაარჩიოს საკუთარი თავი სხვებისგან.<sup>7</sup>

დროთა განმავლობაში, ბავშვი იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ თავისი გონება შუამავლობს და ურთიერთქმედებს მის გამოცდილებასთან; ეს არის „მენტალიზაციის“ განვითარება,<sup>8</sup> რაც ავითარებს „რეფლექტორულ ფუნქციონირებას“, უნარს განასხვავოს და გააცნობიეროს ფსიქიკური მდგომარეობა როგორც საკუთარ თავში, ასევე სხვებში.<sup>9</sup>

ამდენად, ინდივიდს შეუძლია „განასხვავოს შინაგანი გარე რეალობისგან, თავის მოჩვენება ფუნქციონირების „რეალური“ რეჟიმებისგან და ინტრაპერსონალური გონებრივი და ემოციური პროცესები ინტერპერსონალური კომუნიკაციებისგან“.<sup>10</sup> კვლევამ დაადასტურა კავშირი გამართულ გონებრივ ფუნქციონირებასა და მიჯაჭვულობას შორის.<sup>11</sup>

<sup>1</sup> M. Ainsworth et al., Patterns of Attachment 31-33, 59-63 (1978); იხ. ასევე, Alan E. Kazdin, 1 Encyclopedia Psychol. 284, 287 (2000) (ზოგადად დანართის განხილვა).

<sup>2</sup> Mary Main & Judith Solomon, *Procedures for Identifying Infants as Disorganized/Disoriented During the Ainsworth Strange Situation*, in Attachment in the Preschool Years 121, 123 (M.T. Greenberg, D. Cicchetti & E.M. Cummings eds., 1990).

<sup>3</sup> Peter Fonagy et al., Affect Regulation, Mentalization and the Development of the Self 53-54 (2004).

<sup>4</sup> იქვე, 53.

<sup>5</sup> იქვე, 55.

<sup>6</sup> იქვე, 54.

<sup>7</sup> ამ კონტექსტში არეკვლა შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ წმინდა არეკვლას, არამედ სიგნალს განსხვავების შესახებ საკუთარ თავსა და სხვას შორის. მაგალითად, როდესაც ჩვილი იღიმის, მაგრამ დედა უბრუნებს ღიმილს გაზვიადებულად, რითიც ჩვილი იგებს, რომ არსებობს განსხვავება დედის ემოციებსა და მის ემოციებს შორის. იქვე, გვ.177, 201-02. დამატებითი ინფორმაციისთვის ფონაგისა და მისი კოლეგების, განსაკუთრებით Gyorgy Gergeley-ის მიერ შემუშავებული „აფექტის სარკისებური სოციალური ბიოუკუკავშირის თეორია“, არეკვლის მუშაობის ასახსნელად ნამუშევრები, იხ. იქვე, 145-202. ანალოგიურად, ვითომ თამაშის საშუალებით ჩვილი სწავლობს რეალობისა და გარეგნობის გარჩევას, მაგალითად, განსხვავებას ნამდვილ დათვსა და ვითომ დათვს შორის. იქვე, 54, 258-89, 304-06, 308-12.

<sup>8</sup> იქვე, 3 („მენტალიზაცია... არის პროცესი, რომლითაც ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გონება შუამავლობს ჩვენს გამოცდილებას სამყაროს შესახებ“); იქვე, 54 („აღმზრდელის უნარი დააკვირდეს ბავშვის ფსიქიკურ მდგომარეობაში მომენტიდან მომენტამდე ცვლილებებს, გადამწყვეტია მენტალიზაციური შესაძლებლობების განვითარებისთვის“).

<sup>9</sup> იქვე, 23.

<sup>10</sup> იქვე, 25. ფონაგიმ და მისმა კოლეგებმა ასევე წამოაყენეს ჰიპოთეზა ძირითადი ნერვული სტრუქტურის არსებობის შესახებ, რომელსაც ეწოდება ინტერპერსონალური ინტერპრეტაციის მექანიზმი (IIM), რომელიც ემსახურება ახალი გამოცდილებისა და სოციალური ინფორმაციის დამუშავების მექანიზმს. IIM საფუძვლად უდევს მენტალიზაციას და ამრეკლავ ფუნქციონირებას, მაგრამ შეიძლება ასევე ჰქონდეს მათ მიღმა ფუნქციებიც. იქვე, 124-125. IIM სავარაუდოდ მდებარეობს შუა პრეფრონტალურ თავის ტვინის ქერქში. იქვე, 131-132.

<sup>11</sup> მაგალითად, როდესაც მომავალ დედებს სთხოვეს აღწერათ თავიანთი ბავშვობა, ბავშვების დედებმა, რომლებიც მოგვიანებით უსაფრთხოდ მიჯაჭვული გახდნენ, აღწერდნენ თავიანთ ბავშვობას უფრო თანმიმდევრულად, ვიდრე სხვა დედები. Peter Fonagy et al., *Maternal Representations of Attachment During Pregnancy Predict the Organization of Infant-Mother Attachment at One Year of Age*, 62 Child Dev. 891, 901 (1991). ეს მართალი იყო მაშინაც კი, თუ დედების ბავშვობა რთული იყო. იქვე. ამ პრენატალურ ინტერვიუებში დედების სიტყვიერი თანმიმდევრულობის დონისა და დედების ფსიქიკურ ორგანიზებასთან დაკავშირებული ფაქტორების გაანალიზებით, მკვლევრებმა შეძლეს მაღალი სიზუსტით წინასწარ განესაზღვრათ, იქნებოდნენ თუ არა დედების ჯერ კიდევ დაუბადებელი შვილები უსაფრთხოდ მიჯაჭვული. იქვე. ეს აჩვენებს კავშირს თანმიმდევრულ გონებრივ ფუნქციონირებასა და მიჯაჭვულობას შორის. ამის საწინააღმდეგოდ, არაზუსტი არეკვლითა და არაადეკვატური ჰარმონიულობით, ყალბი ან უცხო პიროვნულობა შეიძლება იქნას გათავისებული. FONAGY, *შენიშვნა* 59, გვ.11-12. იხ. ასევე, William M. Singletary, *The Internal Monster: an*



მნიშვნელობა მედიაციისთვის. ფონაგი და მისი კოლეგები ხაზს უსვამენ იმას, რომ რეფლექსური ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური კონფლიქტის დროს. რატომ? „კონფლიქტი - უფრო სწორად, მისი ადაპტირებული გადაწყვეტა - პროტოტიპურად მოითხოვს როგორც საკუთარი თავის, ისე სხვის აღქმას საკუთარ თავთან მიმართებაში, რაც საჭიროებს ინდივიდების მიერ თავიანთი ლეგიტიმური პრეტენზიების შეთანხმებას სხვასთან ურთიერთობით.“<sup>1</sup> ამგვარად, ამრეკლავი ფუნქციონირებისა და მენტალიზაციის შესაძლებლობები ქმნის მნიშვნელოვან „პოტენციური მედიატორის ფსიქოსოციალურ რისკს.“<sup>2</sup>

#### 4. მშობლისა და ბავშვის ურთიერთქმედება და პიროვნების ფსიქოლოგია (ნარცისიზმი)

ბავშვის ჩამოყალიბების პერიოდში მშობლების რეაქციამ შესაძლოა სხვადასხვაგვარად ჩამოაყალიბოს ბავშვის თვითშეგნებაც. ჰაინც კოჰუტი, „პიროვნულობის ფსიქოლოგიის“ დამფუძნებელი, იყო ერთ-ერთი პირველი თეორეტიკოსი, რომელმაც საზგასმით აღნიშნა, რომ ბავშვის მიღწევებზე ენთუზიაზმის გარეშე რეაგირება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ბავშვის ახალგაზრდა „მე“-ს უარყოფა და მისი აქტიური განადგურებაც კი.<sup>3</sup> ამის ნაცვლად, ბავშვს სჭირდება სარკისებური ფორმა, რომელიც მხარს უჭერს მის ექსპიზიციონისტურ გამოვლინებებს,<sup>4</sup> თუმცა, საბოლოო ჯამში, ის მათ მიღმა უნდა მომნიფდეს.<sup>5</sup>

როდესაც ბავშვის მშობლები ზედმეტად ცივი და საკუთარ თავზე გადართული არიან ან ამცირებენ მას წარუმატებლობის გამო ინდივიდალ ჩამოყალიბების პროცესში, მას შეიძლება განუვითარდეს არაადეკვატურობისა და სირცხვილის გრძნობა, ან რწმენა იმისა, რომ ის მხოლოდ მაშინ უყვართ, როცა მათთვის შესაბამისად იქცევა.<sup>6</sup> შემდგომ ბავშვს შეუძლია გაუმკლავდეს ამ სირცხვილისა და დაუცველობის გრძნობას (და მშობლების მიერ მიტოვების შიშს) პომპეზურობისა და მტრობის თავდაცვითი პოზიციის მორგებით.<sup>7</sup> ამდენად, მას უყალიბდება პრობლემური ურთიერთობა საკუთარ თავთან, რაც პოტენციურად ნარცისული აშლილობის წინაპირობაა.<sup>8</sup>

---

*Aspect of Hostile Self and Object Constancy— Discussion of Tyson's Chapter "Separation-Individuation, Object Constancy and Affect Regulation," in Language of Emotions, შენიშვნა 49, გვ.83.*

<sup>1</sup> Fonagy, შენიშვნა 59, გვ.62.

<sup>2</sup> იქვე, 16.

<sup>3</sup> Heinz Kohut, *The Analysis of the Self: a Systematic Approach to the Psychoanalytic Treatment of Narcissistic Personality Disorders* 120 (1971) (ამბობს: „ურთიერთობა ემპათიურად დაახლოებულ და მიმღებლურ მშობელთან არის ერთ-ერთი წინაპირობა მტკიცე კათექსის თავდაპირველი ჩამოყალიბებისა“).

<sup>4</sup> იქვე, 116.

<sup>5</sup> იქვე, 108 („პიროვნულობის რეალური არასრულყოფილებისა და შეზღუდვების აღიარება... ზოგადად, ფსიქიკური ჯანმრთელობის წინაპირობაა“). ჰაინც კოჰუტსა და ოტო კერნბერგს შორის ტექნიკური დებატების დეტალები ნარცისიზმის ეტიოლოგიის ასპექტების შესახებ ამ სტატიის არ არის განხილული. ამ საკითხის განხილვისთვის, იხ. Arnold M. Cooper, *Narcissism*, in *American Handbook of Psychiatry* 297 (S. Arieti ed., 1959), reprinted in *Essential Papers*, შენიშვნა 2, 135-139.

<sup>6</sup> Arnold Rothstein, *The Theory of Narcissism: An Object Relations Perspective* 66 *Psychoanalytic Rev.* 35 (1979), reprinted in *Essential Papers*, შენიშვნა 2, 309, 314-16 [hereinafter Rothstein, *Theory*] (არაემპათიური დედობის საპასუხოდ, ჩვილი „სიყვარულის შესაძლებლობას მხოლოდ გრძნობს მაშინ, როცა ადეკვატურად მოქმედებს, რაც იწვევს დედის ღიმილს“); William K. Hahn, *Shame: Countertransference Identifications in Individual Psychotherapy*, 37 *Psychotherapy* 10, 15 (2000) (სირცხვილის აცილების რეაქციები მოიცავს ნარცისულ თავდაცვას, როგორცაა გრანდიოზულობა და საეჭვო განცალკევება, რომლებიც შექმნილია ემპათიურ შეწყობაში განმეორებითი წარუმატებლობის კომპენსაციისთვის). სირცხვილი, როგორც ვარჯიშის პერიოდში სირთულეებზე პასუხი, შეიძლება იყოს ჩვილის ტვინის ბიოლოგიური მომნიშვნის პროცესის განუყოფელი ნაწილი. იხ. Allan N. Schore, *Affect Regulation & the Repair of the Self* 156 (2003).

<sup>7</sup> Rothstein, *Theory*, შენიშვნა 73, გვ.316-17.

<sup>8</sup> პიტერ ფონაგიმ და მისმა კოლეგებმა ასევე წამოაყენეს თეორია, რომ ბავშვი, რომელიც საკუთარ თავს ცარიელად ან უცხოად აღიქვამს, შეიძლება იყოს ნარცისული პიროვნების აშლილობისკენ მიდრეკილი. FONAGY, შენიშვნა 59, გვ.10-12. იხ. ასევე, Otto Kernberg, *Identity: Recent Findings and Clinical Implications*, *LXXV Psychoanalytic Q.* 969, 980-81 (2006) არაზუსტმა არეკვლამ შეიძლება გამოიწვიოს ნარცისული პიროვნების



როდესაც ვითარდება ნარცისული ხასიათის აშლილობა, პიროვნებას უვითარდება გრანდიოზულობისა და ძალამოსილების განცდა, რომელიც არარეალური და ცხოვრებისეულ ვითარებასთან შეუსაბამოა.<sup>1</sup> როდესაც ძლიერებას საფრთხე ემუქრება, აგრესია და მტრობა სახასიათოა.<sup>2</sup> თანაგრძნობისა და სინდისის გრძნობა ასევე შეიძლება თითქმის მთლიანად გაქრეს. აშლილობის სხვა მახასიათებლებს მიეკუთვნება: უსაზღვრო წარმატებისა ან ძალაუფლების წარმოდგენები, ინტერპერსონალური ფეთქებადობა და ამპარტავანი, ქედმაღლური ქცევები და დამოკიდებულებები.<sup>3</sup>

გარკვეულწილად, ეს ტენდენციები ყველას ახასიათებს.<sup>4</sup> როგორც კოჰუტმა და ვოლფმა შენიშნეს, თუმცა, სტაბილურობის ხარისხისა და თვითშეგრძნების კავშირი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა ადამიანში.<sup>5</sup> მაგალითად, მაშინ, როცა ნარცისებს აქვთ საკუთარი თავის სტაბილური, თუმცა პომპეზური შეგრძნება, „იდენტურობის დიფუზიის“ მქონე ადამიანებს არ აქვთ საკუთარი თავისა და სხვების მკაფიო აღქმის უნარი.<sup>6</sup> ერთი ადამიანი შეიძლება იყოს საკმარისად ძლიერი, დარჩეს მტკიცე კონფლიქტის წინაშე, მეორე შეიძლება - არა.<sup>7</sup> სოციალური ფსიქოლოგიის კვლევა მხარს უჭერს ამ დაკვირვებებს<sup>8</sup> და მიიჩნევს, რომ ნარცისები ეგოს საფრთხის საპასუხოდ ხდებიან აგრესიულები.<sup>1</sup>

---

აშლილობა; უნდა აღინიშნოს ადრეული დიფერენცირების უნარის მნიშვნელობა საკუთარ თავსა და სხვას შორის.

<sup>1</sup> Aaron T. Beck et al., Narcissistic Personality Disorder, in *Cognitive Therapy of Personality Disorders* 242-52 (2003).

<sup>2</sup> იქვე, 245.

<sup>3</sup> ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის თანახმად, ნარცისული პიროვნების აშლილობის ნიშნებია:

გრანდიოზულობის (ფანტაზიაში ან ქცევაში), თაყვანისცემის მოთხოვნილებისა და ემპათიის ნაკლებობის გავრცელებული მაგალითი, რომელიც იწყება ადრეულ ასაკში და წარმოდგენილია სხვადასხვა კონტექსტში, რაც წარმოდგენილია ხუთი (ან მეტი) ქვემოთ მოცემული პირობის სახით:

(1) აქვს თვით-მნიშვნელოვნების გრანდიოზული შეგრძნება (მაგ., აზვიადებს მიღწევებსა და ნიჭს, მოელის, რომ აღიარებული იქნება უპირატესად შესაბამისი მიღწევების გარეშე);

(2) დაკავებულია შეუზღუდავი წარმატების, ძალაუფლების, ბრწყინვალეების, სილამაზის ან იდეალური სიყვარულის ფანტაზიებით;

(3) თვლის, რომ ის „განსაკუთრებული“ და უნიკალურია და მისი გაგება ან მასთან ურთიერთობა მხოლოდ სპეციალურ ან მაღალი სტატუსის მქონე პირებს (ან ინსტიტუტებს) შეუძლიათ;

(4) საჭიროებს ზედმეტ აღფრთოვანებას;

(5) აქვს ძალამოსილების განცდა, ანუ განსაკუთრებულად მოპყრობისა და მისი მოლოდინების ავტორიტარული შესრულების არაგონივრული მოლოდინი;

(6) არის ინტერპერსონალურად ექსპლუატატორული, ანუ იყენებს სხვებს საკუთარი მიზნების მისაღწევად;

(7) თანაგრძნობის ნაკლებობა: არ სურს აღიაროს და გააიგივოს სხვათა გრძნობები და საჭიროებები;

(8) ხშირად შურს სხვების ან სჯერა, რომ სხვებს შურთ მისი;

(9) გამოხატავს ქედმაღლურ, ამპარტავნულ ქცევებსა და დამოკიდებულებებს. *Am. Psychiatric Ass'n Diagnostic & Statistical Manual of Mental Disorders 717* (4<sup>th</sup> ed. 2006) (პუნქტუაცია, როგორც ორიგინალში).

<sup>4</sup> Horwitz, *შენიშვნა 2*, გვ.219-20; Constantine Sedikides et al., *Are Normal Narcissists Psychologically Healthy? Self-Esteem Matters*, 87 *J. Pers. & Soc. Psychol.* 400 (2004) (განიხილავს ნორმალურ ნარცისიზმს).

<sup>5</sup> Heinz Kohut & Ernest Wolf, *The Disorders of the Self and Their Treatment: An Outline*, 59 *INT'L J. Psychoanalysis* 414 (1978), *reprinted in Essential Papers*, შენიშვნა 2, გვ.175, 177 („ზრდასრული პიროვნულობა შეიძლება . . . არსებობდეს თანმიმდევრულობის სხვადასხვა ხარისხით, თანმიმდევრობიდან ფრაგმენტაციამდე; სიცოცხლისუნარიანობის სხვადასხვა ხარისხით, ენერჯიდან დასუსტებამდე; სხვადასხვა ხარისხის ფუნქციური ჰარმონიით, წესრიგიდან ქაოსამდე“).

<sup>6</sup> Kernberg, *შენიშვნა 75*, გვ.988 (ამტკიცებს, რომ საზღვრები ახასიათებს იდენტობის დიფუზიის სინდრომს, რომელიც ხასიათდება საკუთარი და სხვების კონცეფციის ინტეგრაციის ნაკლებობით; მაგრამ „ნარცისული პიროვნების აშლილობის შემთხვევაში, ყველაზე დამახასიათებელია ერთი შეხედვით ინტეგრირებული, თუმცა პათოლოგიური, გრანდიოზული პიროვნულობის არსებობა, რომელიც მკაცრად ეწინააღმდეგება სხვების ინტეგრირებული ხედვის განვითარების უუნარობას“).

<sup>7</sup> Kohut & Wolf, *შენიშვნა 80*, გვ.414 (აღნიშნავს, რომ ძლიერი პიროვნულობა გვაძლევს საშუალებას მოვითმონოთ გამარჯვება და დამარცხება, წარმატება და წარუმატებლობა).

<sup>8</sup> იხ. Brad J. Bushman & Roy F. Baumeister, *Threatened Egotism, Narcissism and Self-Esteem and Direct and Displaced Aggression: Does Self-Love or Self-Hate Lead to Violence?* 75 *J. Pers. & Soc. Psychol.* 219, 227-28 (1998) („მაღალი თვითშეფასება . . . შეიძლება იყოს სტაბილური და დიდწილად მიუწვდომელი სხვების შეფასებისათვის ან შეიძლება ითხოვდეს ხშირ დადასტურებასა და დამტკიცებას და მიდრეკილი იყოს ცვლილებებისკენ ყოველდღიური მოვლენების საპასუხოდ“); Christine H. Jordan et al., *Secure and Defensive High Self-Esteem*, 85 *J. Pers. & Soc. Psychol.* 969, 975 (2003) (აღნიშნავს, რომ მაღალ თვითშეფასებას „... შეუძლია მიიღოს შედარებით უსაფრთხო და თავდაცვითი ფორმები, რომლებიც უკავშირდება ინდივიდის არაცნობიერს, ნეგატიურ თვითშეგრძნებას“); T. S. Stucke & S. L. Sporer, *When a Grandiose Self-Image Is Threatened: Narcissism and Self-*

## 5. ფსიქოანალიტიკური განვითარების დასკვნების მნიშვნელობა მედიაციისათვის

ფსიქოანალიტიკური განვითარების თეორია შეთანხმებულად აღიარებს, რომ საკუთარი პიროვნების ჯანსაღი განცდის განვითარებით, ადამიანებს ასევე უვითარდებათ რეალობაზე დაფუძნებული და ობიექტური, მაგრამ თეორიულად თვითამრეკლავი, საკუთარი და სხვისი პიროვნების განცდა. ამას პიტერ ფონაგი უწოდებს „ამრეკლავ ფუნქციონირებას“.<sup>2</sup> ეს არის ასევე ის, უხეშად რომ ვთქვათ, რასაც მარგარეტ მალერი უწოდებს „საკუთარი პიროვნებისა და ობიექტის მუდმივობას“,<sup>3</sup> და რასაც ინტერსუბიექტური თეორეტიკოსები აღწერენ, როგორც ურთიერთაღიარების უნარს,<sup>4</sup> ანუ, არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვების აღიარების შესაძლებლობასაც.<sup>5</sup> ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტის დროს.<sup>6</sup> პრაქტიკული თვალსაზრისით, მათ, ვისაც შეუძლიათ ფუნქციონირება ადეკვატური ობიექტურობით საკუთარი თავისა და სხვების მიმართ - ან ვისაც ამის ნახალისება შეუძლია - უკეთესად მოქმედებენ მედიაციის პროცესში.<sup>7</sup>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არეკვლის მნიშვნელობა.<sup>8</sup> არეკვლისა და მისი ინტერსუბიექტური კორელაციის, ურთიერთაღიარების საშუალებით,<sup>9</sup> პიროვნება შეიცნობს საკუთარ თავს და მოდუნდება უსაფრთხო ცნობიერების სამყაროში.

---

*Concept Clarity as Predictors of Negative Emotions and Aggression Following Ego-Threat*, 70 J. Personality 509, 530 (2002) („ჩვენი დასკვნები შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებად იმ მოსაზრებისთვის, რომ პოზიტიური, მაგრამ არასტაბილური და არასაიმედო თვითშეფასების მქონე პირები განსაკუთრებით დაუცველები არიან საფრთხის მიმართ“).

<sup>1</sup> Bushman & Baumeister, *შენიშვნა* 83, გვ.227; იხ. ასევე, Tanja S. Stucke, *Who's to Blame? Narcissism and Self-Serving Attributions Following Feedback*, 17 Eur. J. Personality 465, 466 (2003) („უარყოფითი გამოხმაურების შემდეგ ნარცისები მიდრეკილი არიან სხვებისკენ მიმართული უარყოფითი რეაქციებისკენ“).

<sup>2</sup> იხ. *შენიშვნა* 62-65, 68-69 და თანხმობები ტექსტი.

<sup>3</sup> Joyce Edward et al., *Separation/Individuation: Theory and Application* 154 (2d ed. 1992) („ეს არის პიროვნელობისა და ობიექტის მუდმივობის მიღწევა დროთა განმავლობაში, რაც საშუალებას აძლევს ადამიანებს, განიცადონ საკუთარი თავი კაცობრიობის ოჯახის წევრად და ამავე დროს, საშუალებას აძლევს თითოეულ ჩვენგანს გაუძლოს და შეეგუოს გარდაუვალი მართობის გამოცდილებას . . .“). იხ. ასევე, *შენიშვნა* 34-40 (საკუთარი თავისა და სხვების შეცნობის უნარი პიროვნელობისა და ობიექტის მუდმივობაში).

მე ვალში ვარ William Singletary-ის იმისათვის, რომ არსებობს მსგავსებები ამრეკლავი ფუნქციონირებისა და პიროვნელობისა და ობიექტის მუდმივობის ცნებებში. *Communication with William Singletary* (Dec. 2007). იხ. ასევე, Gergely, *შენიშვნა* 49, გვ.1214-22 (მალერის ობიექტის მუდმივობის კონცეფციის ინტეგრირება უახლეს ფსიქოანალიტიკურ თეორიასთან, მათ შორის, ფონაგის ნაშრომთან).

<sup>4</sup> იხ. *შენიშვნები*: 48-52 (მსჯელობა ინტერსუბიექტურ თეორიაში ურთიერთაღიარების შესახებ).

<sup>5</sup> კოჰუტისა და კერნბერგის ნაშრომებში მსგავსი იდეებისათვის, იხ. e.g., Heiz Kohut, *How Does Analysis Cure?* 52, 70, 77, 79 (Arnold Goldberg & Paul E. Stepansky eds., 1984); Kernberg, *შენიშვნა* 75, გვ.981 (ხაზს უსვამს „საკუთარ თავსა და სხვას შორის დიფერენცირების უნარის მნიშვნელობას“).

<sup>6</sup> იხ. *შენიშვნები*: 39-46, 56, 68, 82-84 და თანხმობები ტექსტი.

<sup>7</sup> ანალოგიური მოსაზრებაა მედიაციის ორ ბოლოდროინდელ კვლევაში. იხ. Cloke, *შენიშვნა* 12, გვ.127 (ზიგმუნდისა და ანა ფროიდის ნამუშევარზე დაყრდნობით აღნიშნულია, რომ „მედიატორის მიზანია . . . განავითაროს [მხარეების] საკუთარი თავისა და სხვისი შეგრძნება“). იხ. ასევე, Richard McGuigan & Nancy Popp, *The Self in Conflict: The Evolution of Mediation*, 25 Conflict Resol. Q. 221 (2007) (განხილავს „საავტორო აზროვნებას“, რომელსაც, „აფილიატიური“ და „ინსტრუმენტული“ აზროვნებისგან განსხვავებით, უფრო მეტად შეუძლია საკუთარი თავისა და სხვათა შეხედულებების გათვალისწინება. მაკგუიგანი და პოპი ეყრდნობიან განვითარების კონსტრუქციულ თეორიას, იქვე, 223, რომელიც ასახულია რობერტ კეგანის ნაშრომში. იხ. Robert Kegan, *The Evolving Self: Problem & Process in Human Development* (1982). კეგანი ცდილობდა დაემკვიდრებინა კლასიკური ფსიქოანალიზის მიღმა, ძირითადად ჟან პიაჟეს ნაშრომზე დაფუძნებული, ტრადიცია, იქვე, 3-4, მაგრამ, რომელიც შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო სხვადასხვა ფსიქოანალიტიკური თეორეტიკოსების, მათ შორის მალერის ნამუშევრის გასაძლიერებლად. იქვე, 4. ის ამტკიცებდა, რომ მისი მიდგომა სასარგებლო იყო თერაპევტებისა და მრჩეველებისთვის. თუმცა, იხ. K. Eriksen, *The Constructive Developmental Theory of Robert Kegan*, 14 Fam. J. 290 (2006) (ამტკიცებს, რომ კეგანის ნამუშევარმა საკმარისად ფართო აღიარება მრჩეველთა საზოგადოებაში ვერ მოიპოვა).

<sup>8</sup> იხ. *შენიშვნები*: 22, 63, 71-72.

<sup>9</sup> დეტალები ფსიქოანალიზში არეკვლასა და ამოცნობას შორის აქ არ იქნება განხილული. თუმცა, იხ. Stephen A. Mitchell, *Juggling Paradoxes: Commentary on the Work of Jessica Benjamin*, 1 Studies in Gender & Sexuality 251-55 (2000). Cf. Gergely, *შენიშვნა* 49, გვ.1206-10 (მალერისა და ბოლოდროინდელი თეორეტიკოსების მიერ მსგავსებისა და სარკისებური იდეების განხილვა).

ამის საპირისპიროდ, მოიმატებს მგრძობელობა, როდესაც საკუთარი პიროვნულობა არასტაბილური ან დაუცველია. ამგვარად, ნარცისიზმის შესახებ კვლევა მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მედიაციის პროცესში მხარეების მტრობისა და შეურაცხყოფის შეგრძნების დიდი ნაწილი არის თავდაცვითი რეაქცია სირცხვილის ან დაუცველობის ფუნდამენტური გრძობების მიმართ.<sup>1</sup>

პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების იმპერატიულობიდან გამომდინარე, მედიაციის პროცესში დომინირებს არა მხოლოდ ნარცისული თავდაცვა, როგორცაა გრანდიოზულობა, ასევე რეაქცია ამ თავდაცვით ან აგრესიულ მდგომარეობაზე. მაგალითად, პომპეზურობას ან ზედმეტ თავდაჯერებულობას ხშირად მოჰყვება იმედგაცრუება და დეფლაცია. ეს იწვევს IDR ციკლს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.<sup>2</sup>

## II. სხვა შეხედულებები პიროვნულობისა და თვითიდენტობის შესახებ

პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების განხილვისას, უმეტეს ჩვენგანს ჰკონია, რომ ადამიანი, რომელსაც ჩვენ მოვიხსენიებთ, როგორც „მე“ (სუბიექტი) ან „მე“ (ობიექტი) არის ერთიანი, მთავარი, ხელმძღვანელი მე. მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოანალიზი ზოგადად ადასტურებს ამ ვარაუდს, მას ეჭვქვეშ აყენებენ სხვები, როგორც ქვემოთ იქნება განხილული.

### 1. ერთიანი „მე“-ს დეკონსტრუქცია: ბუდიზმი და ნეირომეცნიერება

ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ნეირომეცნიერებმა შეისწავლეს, თუ როგორ აყალიბებს ტვინი ვინ ვართ ჩვენ და ვინ გვგონია ჩვენი თავი. მათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბოლო კვლევის შედეგი იყო „სარკისებრი ნეირონების“ აღმოჩენა.<sup>3</sup> ეს ნეირონები ასახავს ვიზუალურ ინფორმაციას, რომელსაც ვიღებთ, როდესაც ვაკვირდებით სხვისი ქცევის ეკვივალენტურ მოტორულ გამოსახულებას ჩვენს ტვინში.<sup>4</sup> მაგალითად, როდესაც ვუყურებთ სხვა ადამიანს, როგორ სწვდება წყლის ჭიქას, ჩვენი ტვინი აღიქვამს ამ მოქმედებას ისე, თითქოს ჭიქისკენ ჩვენ გავიწოდეთ ხელი.<sup>5</sup>

სარკისებრი ნეირონებისა და სხვა მსგავსი ნევროლოგიური სისტემების<sup>6</sup> აღმოჩენა ამტკიცებს ფსიქოანალიტიკურ გამოხატულებას არეკვლასა და ამოცნობაზე. ერთმანეთის ავტომატური „მატერიალიზებული სიმულაციების“ გამო, ჩვენ ურთიერთობის დროს ერთმანეთს ფაქიზად ვაკავშირებთ და ვაკონფიგურირებთ ნევროლოგიურ დონეზე.<sup>7</sup> მაშასადამე, როგორც ჩანს, ჩვენი პიროვნებები ფუნდამენტურად სოციალურია, რომლებიც ადრიდანვე ფაქიზად იყო დაკავშირებული ადამიანთა ურთიერთშეკავშირებისთვის.<sup>8</sup>

<sup>1</sup> იხ. *შენიშვნები 70-84* და თანმხლები ტექსტი.

<sup>2</sup> იხ. *ქვემოთ ნაწილი IV*.

<sup>3</sup> ეს შემთხვევით აღმოაჩინეს პირველად, როდესაც მეცნიერები მაკაკ მაიმუნებს სწავლობდნენ. Vittorio Gallese et al., *Intentional Attunement: Mirror Neurons and the Neural Underpinnings of Interpersonal Relations*, 55 J. Am. Psychoanalytic Ass'n 131, 134-35 (2007). მეცნიერები დღესდღეობით თანხმდებიან, რომ მსგავსი მექანიზმი არსებობს ადამიანებშიც. იქვე.

<sup>4</sup> Stern, *Present Moment*, *შენიშვნა 51*, გვ.78-79.

<sup>5</sup> იქვე, 79.

<sup>6</sup> სხვა სისტემების მაგალითზე, სტერნი საუბრობს „ადაპტაციურ რხევებზე“, რომლებიც მოქმედებს საათივით ჩვენს სხეულში და მუდმივად გადატვირთულია, რათა მათი სროლის სიხშირე დარეგულირდეს შემომავალი სტიმულაციის შესაბამისად. Stern, *Present Moment*, *შენიშვნა 51*, გვ.80-81.

<sup>7</sup> Gallese, *შენიშვნა 95*, გვ.143, 159 (განხილულია „განხორციელებული სიმულაციები“ და ნავარაუდევია, რომ სარკისებრი ნეირონების გამო, პაციენტისადმი მორგებული პასუხი ბიოლოგიურად ავტომატურად ყალიბდება პაციენტის მიერ).

<sup>8</sup> იხ. Daniel J. Siegel et al., *Mind, Brain and Behavior*, in *Behavior & Medicine 3* (D. L. Wedding & M.L. Stuber eds., 2006) („ტვინი არის სხეულის ძირითადი სოციალური ორგანო“). სოციალური კოგნიტური ნეირომეცნიერების

მეცნიერები ცდილობდნენ დაედგინათ ტვინში მექანიზმები, რომლებიც დაკავშირებულია პიროვნულობასთან. თუმცა, ამან გამოიწვია ის, რასაც შეიძლება ეწოდოს ინდივიდუალური „მე“-ს დეკონსტრუქცია. მეცნიერული მეთოდის - დედუქციური ძალის გამოყენებით, ტვინის ვიზუალიზაციასთან ერთად, მეცნიერებმა გამოავლინეს მეხსიერების სხვადასხვა ფორმა<sup>1</sup> და საკუთარ თავთან დაკავშირებული სხვადასხვა ფუნქცია.<sup>2</sup> მათ განაცხადეს სხვადასხვა ტიპის „მე“-ს არსებობა.<sup>3</sup> მათ ვერ იპოვეს ერთიანი პიროვნულობა.<sup>4</sup> ზოგი გვთავაზობს პატარა „ჰომუნკულუსის“ კონცეფციისგან სრულად მოშორებას; მიუხედავად ამისა, უხალისოდ უნდა აღიარონ ის, რომ ადამიანის გამოცდილება მოიცავს პიროვნულობის შეგრძნებას.<sup>5</sup>

როდესაც ნეირომეცნიერები ახდენენ პიროვნულობის დეკონსტრუქციას, ზოგი მხარს უჭერს ბუდისტურ გაგებას, რომ ეგო, საკუთარი პიროვნულობის ჩვეული შეგრძნება, ილუზიაა. ბუდისტებისთვის ყველა ფენომენი წარმოიქმნება დამოკიდებულად და ერთმანეთთან დაკავშირებულად. ეს მოიცავს პიროვნულობას, რომელიც მხოლოდ „უნყვეტად წარმოქმნილი“ ფენომენის შემოდინების ნაწილია.<sup>6</sup> საინტერესო ალიანსი შეიქმნა ბუდიზმსა და ნეირომეცნიერებას შორის.<sup>7</sup>

## 2. პიროვნულობის განზომილებების ინტეგრაცია

ბუდიზმისა და სხვა რელიგიური ტრადიციების ელემენტები ინტეგრირებული იყო ფსიქონალიტიკური განვითარების თეორიასთან ფაისალ მუქადამისა და ა.ჰ. ალმაასის ნაშრომში. ისინი ერთად მუშაობდნენ მრავალი წლის განმავლობაში, თუმცა მათი კოლაბორაცია დასრულდა 1980-იანი წლების შუაში. მათი აზრით, ეგო, პიროვნულობის ჩვეული შეგრძნება, მარ-

---

განვითარებადი სფერო დეტალურად იკვლევს სოციალური ტვინის ნეირომეცნიერებას. იხ. Beth Azar, *At the Frontier of Science*, 33 *Monitor on Psychol.* (2002); David M. Amodio & Chris Firth, *Meeting of Minds: The Medial Frontal Cortex and Social Cognition*, 7 *Nature* 268 (2006) (ფოკუსირება თავის ტვინის შუალედური ქერქის როლზე სოციალურ შემეცნებაში).

<sup>1</sup> Daniel J. Siegel, *The Developing Mind: How Relationships and the Brain Interact to Shape Who We Are*, 23-39 (1999).

<sup>2</sup> Georg Northoff et al., *Self Referential Processing in Our Brain – A Meta-Analysis of Imaging Studies on the Self*, 31 *Neuroimage* 440, 441 (2006) (ატარებს პიროვნულობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფუნქციის კვლევითი ლიტერატურის მიმოხილვას).

<sup>3</sup> Siegel, *შენიშვნა* 101, გვ.230 („როგორც ვხედავთ, განვითარების კვლევები და კოგნიტური მეცნიერება ვარაუდობს, რომ ჩვენ ბევრი პიროვნულობა გვაქვს“); Northoff, *შენიშვნა* 102, გვ.441 („გაურკვეველი რჩება ის, რაც აერთიანებს პიროვნულობის ამ განსხვავებულ ცნებებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვისაუბროთ საკუთარ თავზე ყველანაირ შემთხვევაში“).

<sup>4</sup> Stern, *Present Moment*, *შენიშვნა* 51, გვ. 39.

<sup>5</sup> Antonio Damasio, *The Feeling of What Happens: Body and Emotion in the Making of Consciousness* 190-91 (1999) (პიროვნულობის, როგორც პატარა „ჰომუნკულუსის“ ხედვის დეკონსტრუქცია, თუმცა აღიარება იმისა, რომ „მოგწონს ამის ცოდნა თუ ახა ჩვეულებრივ ადამიანურ გონებაში არსებობს რაღაც მსგავსი პიროვნულობის შეგრძნება, როცა ვიღებთ ცოდნას“) (ხაზგასმა დამატებულია); იხ. ასევე, Francis Crick & Christof Koch, *The Unconscious Homunculus*, 2 *Neuro-Psychoanalysis* 3- 11 (2000).

<sup>6</sup> ამგვარად, ბუდისტებისთვის „ეს ერთი შეხედვით მყარი, კონკრეტული, დამოუკიდებელი, საკუთარი ძალის ქვეშ მყოფი ‘მე’, რეალურად, საერთოდ არ არსებობს“. Mark Epstein, *Forms of Emptiness: Psychodynamic, Meditative and Clinical Perspectives*, in *Psychotherapy without the Self: a Buddhist Perspective* 55, 63 (2007) (quoting XIV Dalai Lama, Tenzin Gyatso, *Kindness, Clarity and Insight* (1984)); იხ. ასევე, Darshan Brach, *A Logic for the Magic of Mindful Negotiation*, 24 *Negot. J.* 25, 38 (2008) (თანადამოკიდებელი წარმოშობის ბუდისტური კონცეფციის განხილვა); Karen Armstrong, *The Great Transformation: the Beginning of Our Religious Traditions* 283-84 (2006) (ანატას ან უპიროვნობის მოძღვრებაზე მსჯელობა).

<sup>7</sup> მაგალითად, ნეირომეცნიერებთან და ბუდისტ ბერებთან ჩატარდა კონფერენციები, რომელსაც ესწრებოდა თავად XIV დალავი ლამა. ასევე, ჩატარდა ექსპერიმენტები, სადაც ბუდისტი მედიტატორები დაკავშირებული იყვნენ ფუნქციურ მაგნიტურ-რეზონანსული გამოსახულების მოწყობილობებს. იხ. e.g., J.A. Brefczynski-Lewis et al., *Neural Correlates of Attentional Expertise in Long-Term Meditation Practitioners*, 104 *Proc. Nat'l Acad. Sciences*, 11483. იხ. ასევე, Daniel J. Siegel, *The Mindful Brain: Reflection and Attunement in the Cultivation of Well-Being* (2007) [hereinafter Siegel, *Mindful Brain*] (გონების ნეირომეცნიერების გამოკვლევა). იხ. Mind and Life Institute, <<http://www.mindandlife.org>> (last visited Dec. 21, 2009). საერთო ინტერესის ძირითადი სფერო იყო გონებაბაზვილობის ნეირომეცნიერება. იხ. *ქვემოთ ნაწილი* IV.C.

თლაც იქმნება იმ პროცესის მეშვეობით, რომელიც მალერმა და სხვებმა ასე ყურადღებით აღწერეს.<sup>1</sup> ადამიანის ეგო მართებულად განიხილება, როგორც განვითარებასთან დაკავშირებული მიღწევა.<sup>2</sup>

თუმცა, არსებობს „შემადრწუნებელი შედეგები“ იმ ფაქტზე, რომ ინდივიდად ყოფნის განცდა წარმოიქმნება გონებაში საკუთარი თავის გამოსახულების იდენტიფიკაციის შედეგად.<sup>3</sup> ეს იმიტომ, რომ ფუნდამენტურად ადამიანის ნამდვილი ბუნება არ არის ფსიქოლოგიური კონსტრუქცია; ერთი არის ახსებობა.<sup>4</sup>

ამრიგად, პიროვნულობა სავსებით რეალურად ითვლება და არა ილუზიად რაიმე გაგებით. ბავშვი გამოცდის პიროვნულობას და გაიცნობს საკუთარ თავს უშუალოდ ჩვილობის პერიოდში, განსაკუთრებით, პრაქტიკაში გამოყენების დროს.<sup>5</sup> თუმცა, ის ვერ ცნობს საკუთარ თავს, როგორც საკუთაჰ პიროვნებას, რადგან მას არ აქვს თვითარეკვლის უნარი.<sup>6</sup> მაშინ, როდესაც ის იაზრებს საკუთარ თავს, როგორც ინდივიდს, იგი პიროვნულობას გამოცდის თვითწარმოდგენის პროცესში და მისი დახმარებით.<sup>7</sup> შედეგად, მას არ შეუძლია ამოიცნოს საკუთარი თავი ფსიქოლოგიური სტრუქტურისა და თვითწარმოდგენისგან დამოუკიდებლად.<sup>8</sup>

ამ თვალსაზრისით, ქეშმარიტი ინდივიდუალობა არ არის სრულყოფილი, სანამ „არსებითი“ მე არ იქნება აღიარებული და რეინტეგრირებული. ის მოითხოვს როგორც ფსიქოლოგიურ, ისე სულიერ დონეზე მუშაობას.<sup>9</sup>

მსგავს საკითხებზე მსჯელობს ფსიქონალიტიკოსი მარკ ეპშტეინი, პრაქტიკოსი ბუდისტი. ის ასევე აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ „აღმოსავლური მეთოდები უნდა დაუპირისპირდეს ნარცისულ მიჯაჭვულობას . . .“<sup>10</sup> მისი აზრით, „ამ ურთიერთქმედების გაგება ნიშნავს ორივეს - მედიტაციის ტრანსფორმაციული ძალისა და ნარცისიზმის ყოვლისმომცველი გავლენის - ამოცნობას“.<sup>11</sup>

მნიშვნელობა მედიაციისთვის. მედიაციის დროს, ეგო, საკუთარი თავის ჩვეული შეგრძნება, ფსიქოლოგიური რეალობაა. თითოეული მხარე მიდის მაგიდასთან ეგოსთვის სარგებლის ძებნით, ანუ საკუთარი თავისთვის, როგორც მას ეს წარმოუდგენია.

თუმცა, ისიც მართალია, რომ მხარეებს შეიძლება ჰქონდეთ მეტ-ნაკლებად ფართო შეგრძნება იმისა, თუ ვინ არიან ისინი პროცესის განმავლობაში. მათ შეუძლიათ ფსიქოლოგიურად ჩაკეტონ ერთი ან მეტი საკითხი მოლაპარაკების მაგიდაზე, ან გაუშვან.

რამდენადაც ეს მიდგომები გამოხატავს საკუთარი პიროვნულობის უფრო გაფართოებულ, „საკუთარ თავზე არაორიენტირებულ“ ხედვას,<sup>12</sup> ისინი შეიძლება სასარგებლო იყოს მედიატო-

<sup>1</sup> იხ. A.H. Almaas, *the Pearl Beyond Price, Integration of Personality into being: an Object Relations Approach* 22 (1988) [hereinafter Almaas, *the Pearl*].

<sup>2</sup> იქვე, 25.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, 27-28; Faisal Muquddam & Lama Caroline Palden, *Dialogue Between Buddhist & Diamond Logos Teachers*, გამართა რელიგიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ (Mar. 3, 1996). ამრიგად, თითოეული პიროვნულობა ინდივიდუალურია არსებობის ნიადაგში. იქვე. პიროვნულობაზე ეს აქცენტი, როგორც არსებაზე, შეიძლება შეესაბამებოდეს ბუდისტურ ცნებას, რომ პიროვნულობა ილუზია, თუკი არარეალური პიროვნულობა ბუდიზმში იკითხება, როგორც ეგო. იქვე.

<sup>5</sup> Almaas, *the Pearl*, *შენიშვნა* 108, გვ.277-278. იხ. ასევე, A. H. Almaas, *The Point of Existence, Transformations of Narcissism in Self-Realization* 59, 135, 208, 211 (1996) [hereinafter Almaas, *The Point*].

<sup>6</sup> Almaas, *the Pearl*, *შენიშვნა* 108, გვ.59. იხ. ასევე, A.H. Almaas, *The Inner Journey Home, Soul's Realization of the Unity of Reality* 154, 166 (2004).

<sup>7</sup> Almaas, *The Point*, *შენიშვნა* 112, გვ.59.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იხ. e.g., Almaas, *The Point*, *შენიშვნა* 112, გვ.107-08 (1996) (მიუხედავად იმისა, რომ ღრმა ფსიქოლოგია აღიარებს თვითგამოსახულებების დაშლის მნიშვნელობას, ის შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს და რეალური თვითგამოსახულებებიც დაიშალოს პიროვნულობასთან წვდომის მიზნით).

<sup>10</sup> Mark Epstein, *Meditative Transformations of Narcissism*, 18 *J. Transpersonal Psychol.* 143-158 (1986), reprinted in *Psychotherapy without the Self*, *შენიშვნა* 106, გვ.39.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> ეს არის ბუდისტი ფსიქონალიტიკოსის, Jeffrey Rubin-ის, მიერ მოგონილი ფრაზა. Jeffrey B. Rubin, *Psychoanalysis Is Self-Centered*, in *Soul on the Couch, Spirituality, Religion and Morality in Contemporary Psychoanalysis* 79, 80 (Charles Spezzano & Gerald J. Gargiulo eds., 1997).

რებისთვის ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ამოცანის წამოჭრისას: დაიმახსოვრონ და შეახსენონ სხვებს, რომ პიროვნების ვინაობა არ არის დამოკიდებული მოლაპარაკების შედეგზე.<sup>1</sup>

თუ მედიატორს შეუძლია, რომ რეალურად განასახიეროს საკუთარი თავის უფრო ღრმა, უფრო ავთენტური შეგრძნება, ასევე ძალიან სასარგებლოა. მხარეები ამას ხშირად აღიქვამენ, როგორც პატივისცემას, სრულ დადასტურებას იმისა, თუ ვინ არიან ისინი შუა კონფლიქტში.<sup>2</sup>

### **III. მედიატორის მიერ პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხებთან მუშაობა**

მედიატორის უნარი, გაუმკლავდეს პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხებს, წარმატებული მედიაციის მთავარი კომპონენტია. ეს საკითხები წამოიჭრება არა მხოლოდ მხარეებისთვის, ასევე მედიატორისთვისაც.

#### **1. მედიატორის მიერ პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების გადაწყვეტა**

როგორც უპირველესი პრინციპი, ერთი უნდა მოელოდოს იმას, რომ მედიაციის დროს მეორე პირს სხვადასხვა ხარისხით წამოეჭრება პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხები. მნიშვნელოვანია ნარცისულ თავდაცვასთან ურთიერთობის - როგორიცაა აგრესია - ცოდნა. ასევე სასარგებლოა სხვების ჩვეული გეგმების ბუნების შეგრძნების ქონა.

მაგალითად, თვითდაკვირვებამ შეიძლება გამოავლინოს, რომ ერთი მხარე გახდა მამის იდეალიზებული ვერსია, ხოლო მეორე სუსტად ეხმიანება დედას, დას ან ძმას. უთვალავი შესაძლო კომბინაცია არსებობს.

ამ პროგნოზების გაგება ხელს შეუწყობს საკუთარი რეაქციების ამოხსნასა და ნეიტრალიტეტის დაბრუნებას, როდესაც მხარეები მომთხოვნი ან წამახალისებელნი ხდებიან. მრავალი კუთხით, ეს ერთგულება შინაგანი ნეიგჩადიგეჯისადმი არის არსებითი წინაპირობა ჭეშმარიტად მოქმედი გარეგანი ნეიტრალიტეტისა.<sup>3</sup>

#### **2. პროფესიული ეგოს იდეალი**

ჯგუფური თერაპიის ლიდერობის შესახებ ფსიქოანალიტიკური ლიტერატურის ანალოგიდან გამომდინარე, ჩვენ ვიცით, რომ „გრანდიოზული პროფესიული ეგოს იდეალი“<sup>4</sup> ერთ-ერთი მთავარი ნარცისული საფრთხეა ჯგუფის ლიდერისთვის. ამ პომპებურ „მე“-ს შეიძლება სურდეს, რომ „უანგარო დამხმარედ“ აღიქმებოდეს.<sup>5</sup> მას შეიძლება სურდეს იყოს ძლევა მოსილი, ყოვლისმცოდნე და ერთგული, როგორც დაცვითი ხასიათის ღონისძიება დაუცველობის მიმართ.<sup>6</sup>

<sup>1</sup> მედიაციის შესაბამისობა მედიაციის პრაქტიკის ამ ასპექტთან განხილულია ქვემოთ ნაწილი III.C.

<sup>2</sup> მეტი ინფორმაციისთვის იხ. ქვემოთ შენიშვნები 159-61, 190-91, 194 და თანმხლები ტექსტი. იხ. ასევე, ქვემოთ ნაწილი IV.E.

<sup>3</sup> იხ. ასევე, ქვემოთ შენიშვნა 145 (ნეიტრალიტეტის განხილვა).

<sup>4</sup> Robert L. Weber & Jerome S. Gans, *The Group Therapist's Shame: A Much Undiscussed Topic*, 53 INT'L. J. Group Psychotherapy 395, 399 (2003).

<sup>5</sup> Horwitz, *შენიშვნა 2*, გვ.222.

<sup>6</sup> Weber & Gans, *შენიშვნა 123*, გვ.399.

პარადოქსულია, მაგრამ ნარცის ლიდერს შეიძლება გაუჭირდეს კლიენტების ნარცისიზმის ტოლერანტობა და შესაძლოა გააუფასუროს ან თავიდანაც კი აიცილოს მათი მოსმენა.<sup>1</sup> სხვების ნარცისებად კლასიფიკაციამ შეიძლება გამოიწვიოს საკუთარი ნარცისული ტენდენციების სხვებზე პროექცია და ამით მათი თავდაცვითი უარყოფა.<sup>2</sup>

ოპტიმალური ფუნქციონირება ჩვენგან მოითხოვს, რომ „ვალდართ, რომ გრანდიოზული იდეალი არის ილუზია და თავდაცვისთვის გამოუსადეგარი ... და აღვადგინოთ უფრო მეტად რეალური პროფესიული ეგოს იდეალი, რომელიც მიიღებს ჩვენი ძალაუფლების, ცოდნისა და სიყვარულის საზღვრებს“.<sup>3</sup>

ირონიულად, როდესაც საქმეები რთულდება მედიაციის დროს, ეს შეიძლება რეალურად იყოს საკუთარი თავის გადამეტებულად წარმოდგენისგან გათავისუფლების უნარი, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება მხარეებს.<sup>4</sup> კომპეტენტური მედიატორის დამახასიათებელი ნიშანია რეალური პროფესიული იდეალი, რომელსაც მედიაციის დროს თან ახლავს მუდმივი ვალდებულება კლიენტების მიმართ.<sup>5</sup>

### 3. არსებობა, გონებამახვილობა და იდენტობის განთავისუფლება

მედიაციის დროს მხარეები განუწყვეტლივ ამოწმებენ მედიატორის არსებობას და ცდილობენ ამოიცნონ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.<sup>6</sup> ეს ძალიან სწრაფად ხდება. მაგალითად, დანიელ სტერნის თქმით, მხოლოდ ერთიდან ათ წამამდეა საჭირო, რომ „ადამიანებში არსებული სტიმული აზრიანად დაჯგუფდეს, ჩვენი ქცევის წარმოდგენების ფუნქციური ერთეულების შედგეს და ნებართვა მიეცეს ცნობიერების აღმოცენებას“.<sup>7</sup> სტერნი მოიხსენიებს ამ მოკლე „პროცესის ერთეულს“, როგორც „ანწყო მომენტს“<sup>8</sup> ან „ფსიქოლოგიურ ანწყოს“<sup>9</sup> თერაპიასა და მოლაპარაკებებში.<sup>10</sup> ამ პერსპექტივიდან განხილულის მიხედვით, მედიაცია არის სწრაფადმოძრავი წარმოდგენითი ხელოვნება, რომელიც თავს იჩენს მედიაციის გახსნილ სწრაფადგანვითარებად მომენტებში.<sup>11</sup>

იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს მომენტიდან მომენტამდე შეგუების უნარის განვითარებას, პროფესორი რისკინისა და სხვების მიერ შემოთავაზებული იქნა, რომ ბუდისტური გონებამახვილობის პრაქტიკა უნდა გამოიყენონ მედიატორებმა და სასწავლო განრიგშიც უნდა

<sup>1</sup> Horwitz, *შენიშვნა 2*, გვ.231-32.

<sup>2</sup> იქვე, 233.

<sup>3</sup> Weber & Gans, *შენიშვნა 123*, გვ.414.

<sup>4</sup> იხ. *ქვემოთ ნაწილი IV.E*.

<sup>5</sup> Cf. Horowitz, *შენიშვნა 2*, 223-24 (აღნიშნავს, რომ თერაპევტები ცდილობენ შეინარჩუნონ სტაბილური ერთგულება კლიენტების მიმართ და არა მათი კმაყოფილება ან საკუთარი ძლევამოსილების არარეალური გრძნობა).

<sup>6</sup> Sarah-Jayne Blakemore & Jean Decety, *From the Perception of Action to the Understanding of Intention*, 2 *Nature Reviews Neuroscience* 561, 563-65 (2001) („მედიალური პრეფრონტალური ქერქი მუდმივად აქტიურდება ... საკითხებით, როცა სუბიექტები ფიქრობენ საკუთარ ან სხვის ფსიქიკურ მდგომარეობაზე“); Stern, *Present Moment*, *შენიშვნა 51*, გვ.79 (განმარტავს, რომ ვიზუალური ინფორმაცია, რომელსაც ვიღებთ სხვისი ყურებისას, აისახება ჩვენს ტვინში ეკვივალენტურ მოტორულ გამოსახულებებზე არეკვლის ნეირონების აქტივობით).

<sup>7</sup> Stern, *Present Moment*, *შენიშვნა 51*, გვ.41.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე, 50.

<sup>10</sup> სტერნმა გაავლო ანალოგია „თერაპიაში ანწყო მომენტ(ებ)სა“ და მოლაპარაკებას შორის სტატიაში, რომელიც გამოაქვეყნა „Negotiation Journal“-ის გამოცემაში მოლაპარაკების კრიტიკულ მომენტებთან დაკავშირებით. Daniel N. Stern, *The Present Moment as a Critical Moment*, 20 *Negot. J.* 365 (2004). ჩემი ვარაუდით, ანალოგია ასევე ვრცელდება მედიაციაზეც.

<sup>11</sup> იხ. Carrie Menkel-Meadow, *Critical Moments in Negotiation: Implications for Research, Pedagogy, and Practice*, 20 *Negot. J.* 341, 346-47 (2004) („ჩვენი, როგორც მოლაპარაკებელთა და მედიატორთა პრაქტიკა ემყარება შეხედულებებისა და ვირტუოზობის მრავალ სფეროს. როგორც ჩანს, ჩვენ ყურადღებას ვაპყრობთ პერფორმანსსაც, ვინაიდან ჩვენც მართლაც „შემსრულებელი პირები“ ვართ.). იხ. ასევე, Susskind, *შენიშვნა 9*, გვ.339-40 (მოლაპარაკების უნარების შედარება ჯაზის იმპროვიზაციასა და უნარებთან).



იყოს ჩართული.<sup>1</sup> გონებამახვილობის პრაქტიკაში, ადამიანი რჩება „მომენტიდან მომენტამდე, განსჯის გარეშე, საკუთარი სხეულის შეგრძნებებით, აზრებით, ემოციებითა და ცნობიერებით“.<sup>2</sup> ამრეკლავი ფუნქციონირების<sup>3</sup> ამ დისციპლინირებულ ფორმას შეუძლია შეაფერხოს რეაქტიულობა კონფლიქტურ სიტუაციებში.<sup>4</sup>

პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების პერსპექტივიდან, გონებამახვილობის პრაქტიკის ან მედიტაციის სხვა ფორმების<sup>5</sup> მთავარი ღირებულება არის ის, რომ, სანამ მათ გონივრულად და სათანადოდ<sup>6</sup> იყენებენ, აქვთ შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ თვითიდენტურობის ჩვეული შეგრძნების გათავისუფლებას.<sup>7</sup>

ჩვეული აზრებისა და გრძნობების გარდამავალი ბუნება უფრო ცხადი ხდება ცნობიერების ფონზე.<sup>8</sup> ქცევითი და სხვა გადახრებიც მეტად აშკარა ხდება. ეს შეიძლება მედიატორებს ნეიტრალიტეტის შენარჩუნებაში დაეხმაროს.<sup>9</sup>

იდეალურ შემთხვევაში, საკუთარი თავისა და სხვებისადმი რიდისა და პატივისცემის გრძნობა ასევე ვითარდება მედიტაციისა და მსგავსი პრაქტიკის საშუალებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანს უვითარდება არა მხოლოდ გონივრული ცნობიერების უნარი, ასევე უნარი დადასტურების პოზიტიური გრძნობით მიაღწიოს მედიაციის მომენტს.

რამდენადაც ეს მოხდება, მხარეები უფრო ადვილად აღიქვამენ მედიატორის არსებობას, როგორც მხარდაჭერისა და ობიექტურობის წყაროს. ეს არის სოციალური ტვინის დადებითი ასპექტი.<sup>10</sup>

<sup>1</sup> Leonard L. Riskin, *Mindfulness: Foundational Training for Dispute Resolution*, 54 J. Legal Educ. 79, 86-88 (2004). ბუდიზმმა დიდი გავლენა იქონია მედიაციაზე. მაგალითად, ბოლო წლებში ზენ ბუდისტის მღვდელი და ავტორი ნორმან ფიშერი მონანილეობდა როგორც ტრენერი მედიაციის ტრენინგ პროგრამებში, რომლებიც გამართული იქნა მედიაციის ცენტრში სამართლის მიმართულებით გარი ჯ. ფრიდმანთან და ჯეკ ჰიმელშტეინთან ერთად. ფორუმი ჰარვარდში და ჰარვარდის მოლაპარაკებების სამართლის ნომრის ნაწილი მიეძღვნა გონებამახვილობას. იხ. Symposium, *Mindfulness in the Law and ADR*, 7 Harv. Negot. L. Rev. 1 (2002).

<sup>2</sup> Riskin, *შენიშვნა 137*, გვ.83; იხ. ასევე, Leonard L. Riskin, *The Contemplative Lawyer: On the Potential Contributions of Mindfulness Meditation to Law Students, Lawyers, and Their Clients*, 7 Harv. Negot. L. Rev. 1 (2002).

<sup>3</sup> Cf. Siegel, *შენიშვნა 101*, გვ.205 (ანალოგიას ავლებს გონებამახვილობასა და რეფლექსიურ ფუნქციონირებას შორის უსაფრთხო მიმაგრებაში და ციტირებს Peter Fonagy & Mary Target, *Attachment and Reflective Function: Their Role in Self-Organization*, 9 Dev. & Psychopathology 679 (1997).

<sup>4</sup> Kirk Warren Brown et al., *Mindfulness: Theoretical Foundations and Evidence for Its Salutary Effects*, 18 Psychol. Inquiry 211, 225 (2007) (კვლევის მიმოხილვა).

<sup>5</sup> იხ. Daniel Goleman, *The Meditative Mind: the Varieties of the Meditative Experience* (1977) მსჯელობს მედიტაციის სხვადასხვა პრაქტიკაზე, აღმოსავლურსა და დასავლურზე, თუმცა პერსპექტივა ძირითადად ბუდისტურია.

<sup>6</sup> პიროვნულობის ზოგიერთი საფრთხის შესახებ, რომელიც შეიძლება ახლდეს რელიგიური პრაქტიკის არასათანადო გამოყენებას, და განსაკუთრებით ჯგუფში თვითმოტყუების სამიშროებაზე, იხ. Frances Vaughan, *A Question of Balance: Health and Pathology in New Religious Movements*, in *Spiritual Choices* 265, 272-73 (Dick Anthony et al. eds., 1987).

<sup>7</sup> იხ. Brown et al., *შენიშვნა 140*, გვ.216 (გონებაში, „არსებობს მენტალური სიცარიელე ყურადღებასა და მის ობიექტებს შორის, ცნობიერების თვითრეგულაციური შინაარსის ჩათვლით. გონებრივი შინაარსისა და ცნობიერების დაწყვილება . . . ნიშნავს, რომ თვითრეგულაცია უფრო ნათლადაა განპირობებული ცნობიერებით, ვიდრე საკუთარი თავის შემეცნებით“).

<sup>8</sup> Epstein, *The Deconstruction of the Self, in Psychotherapy without Self*, *შენიშვნა 106*, გვ.48-52; Claudio Naranjo & Robert E. Ornstein, on the Psychology of Mediation 86-87 (1971) მსჯელობა გონებამახვილური მედიტაციის ამ ასპექტზე.

<sup>9</sup> „მედიტაციის საშუალებით კულტივირებული გონებამახვილობა საშუალებას აძლევს მედიატორს, მიუახლოვდეს ნეიტრალიტეტს პერსონალური მიკერძოების გამოვლენის ამოცნობის დისკურსში და შეამციროს ასეთი მიკერძოების გავლენა მის საუბარსა და ქმედებებზე.“ Evan M. Rock, Note, *Mindfulness Meditation, The Cultivation of Awareness, Mediator Neutrality, and the Possibility of Justice*, 6 Cardozo J. Conflict Resol. 347, 363 (2005). იხ. ასევე, Brach, *შენიშვნა 106*, გვ.30 (მსჯელობა მოლაპარაკების დროს დამკვირვებლის პერსპექტივის გათვალისწინებით გონებამახვილი მოლაპარაკებლის სარგებლიანობაზე).

<sup>10</sup> იხ. *supra* Part II.A (მსჯელობა სოციალურ ტვინზე). იხ. ასევე, Daniel Goleman, *Social Intelligence, the New Science of Human Relationships* 43 (2006) (მოტორული ნეირონების განხილვა: „ორ ტვინში პარალელური გააქტიურება საშუალებას გვაძლევს მყისიერად მივალნიოთ საზიარო განცდას, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოცემულ მომენტში... რასაც ნეირომეცნიერები ამ ორმხრივ რეკლამირებულ „ემპათიურ რეზონანსს“ უწოდებენ, არის „ტვინიდან ტვინამდე კავშირი...“. გალების შეხედულებისთვის აღნიშნული ფენომენი, იხ. *შენიშვნა 190*.

## IV. IDR ციკლი: პიროვნულობა და თვითიდენტობა მედიაციის პროცესში

პიროვნულობისა და თვითიდენტობის თვალსაზრისით, მედიაციაში ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური დინამიკა არის IDR ციკლი. ეს არის ნარცისული ინფლაციის ციკლი, რომელსაც მოჰყვება ეფედაცია და, იდეალურ შემთხვევაში, *ხედიტუხი გადწყვეტა*, რომელიც უმეტესად მედიაციაში იჩენს თავს. ჩიხი არის კრიტიკული მომენტი<sup>1</sup> ციკლის მიმდინარეობისას, რომელიც შესაძლოა საუკეთესოდ იქნეს გაგებულნი, თუკი ადამიანს ესმის ციკლის ფსიქოლოგიური საფუძვლები მთლიანობაში.

### 1. პრე-მედიაციის გადაჭარბებული თავდაჯერებულობა

აღიარებულია, რომ მხარეები, როგორც წესი, მედიაციის პროცესში გადაჭარბებულად თავდაჯერებული მოლოდინებით შედიან. ეს დასკვნა განმეორდა ასობით კვლევაში.<sup>2</sup> ის მიიჩნევა „ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ აღმოჩენად სოციალური აღქმებისა და შემეცნების კვლევაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში“.<sup>3</sup> ეს შეესაბამება ჩემი და მრავალი მედიატორის გამოცდილებას, თუნდაც ერთი პოზიციის გამოთვლის შემთხვევისთვის.<sup>4</sup>

სამწუხაროდ, „განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების დროს არაფერია იმაზე გავრცელებული და პოტენციურად დამღუპველი, ვიდრე გადაჭარბებული თავდაჯერებულობა“.<sup>5</sup> გადაჭარბებული თავდაჯერებულობა დაკავშირებულია სამეწარმეო მარცხთან, წარუმატებელ კორპორაციულ შერწყმასთან და შესყიდვებთან, ომთან, საფონდო ბირჟაზე ზედმეტ ვაჭრობასთან, შრომით გაფიცებთან და, რა თქმა უნდა, სასამართლოს გზით დავასთან.<sup>6</sup> ზედმეტად თავდაჯერებულმა მომლაპარაკებლებმა დაანესეს არარეალური დაჯავშნის პუნქტები. შედეგად, ისინი ხურავენ ნაკლებ გარიგებებს.<sup>7</sup>

### 2. რატომ გადაჭარბებული თავდაჯერებულობა?

დასკვნები გადაჭარბებულ თავდაჯერებულობასთან დაკავშირებით არ არის თვითახსნადი ან აშკარა. მედიაციის მონაწილე მხარეები მუდმივად განიცდიან შფოთვას პროცესის დაწყებამდე. ეს შფოთვა ძლიერდება სამედიაციო პროცესის ჯგუფურ გარემოში წარმართვით. ნარცისული დაუცველობის ალბათობა იზრდება ჯგუფში, ვინაიდან პირი უნდა წარდგეს დამკვირვებლების წინაშე და დაუპირისპირდეს სხვა ადამიანებს საკუთარი საჭიროებებითა და

<sup>1</sup> ამ ტერმინის მნიშვნელობა განხილულია შენიშვნა 9.

<sup>2</sup> Russell Korobkin, *Psychological Impediments to Mediation Success: Theory and Practice*, 21 Ohio ST. J. on Disp. Resol. 281, 284-98 (2006) (მსჯელობს ზედმეტად თავდაჯერებულობაზე ვრცლად, რომელსაც ავტორი განიხილავს, როგორც ძირითად ფსიქოლოგიურ დაბრკოლებას, და ასევე მსჯელობს თვითგანვითარების მიკერძოების სხვა შემთხვევაზე); იხ. ასევე, Birke & Fox, *შენიშვნა 1*, 15-19 (1999) (ასევე განიხილავს პოზიტიურ ილუზიებს, როგორიცაა ზედმეტი თავდაჯერებულობა).

<sup>3</sup> Korobkin, *შენიშვნა 148*, გვ.284 (quoting David A. Armour & Shelly E. Taylor, *When Predictions Fail: The Dilemma of Unrealistic Optimism*, in *Heuristics and Biases: the Psychology of Intuitive Judgment* 334 (Thomas Gilovich et al. eds., 2002)).

<sup>4</sup> იქვე, 291 (პოზირების გათვალისწინებით),

<sup>5</sup> Don Moore & Paul J. Healey, *The Trouble with Overconfidence*, 118 Psychol. Rev. 2, 502 (2008) citing S. Plous, *The Psychology of Judgment and Decision Making* (1993).

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> Birke & Fox, *შენიშვნა 1*, გვ.15-16. იხ. ასევე, Margaret A. Neale & Max H. Bazerman, *The Effect of Reframing and Negotiator Overconfidence on Bargaining Behaviors and Outcomes*, 28 Acad. Mgmt. J. 34, 38-39, 46 (1985).

პრიორიტეტებით.<sup>1</sup> მაშ, როგორ ხდება, რომ სამედიაციო მაგიდასთან მისვლისას მხარეები გადაჭარბებულად თავდაჯერებულები არიან?

გადაჭარბებული თავდაჯერებულობა გრანდიოზულობის ერთ-ერთი სახეა; ის შეიძლება იყოს დაკავშირებული ნარცისიზმთან<sup>2</sup> და „პიროვნულობის შესახებ გაბერილ, პოზიტიურ შეხედულებებთან“.<sup>3</sup> პირი ირჩევს გამოცადოს მოლაპარაკების შესაძლებლობების იდეალიზებული განცდა (და იმპლიციტურად საკუთარი თავი), როგორც დაუცველობისა და შფოთვის შეგრძნების მიმართ დაცვა მოლაპარაკებისა და სამედიაციო პროცესში მონაწილეობისას.<sup>4</sup> ადამიანის ბუნებრივი აგრესია და ძლიერების შეგრძნება საწვავის მნიშვნელოვანი წყაროა ამ დინამიკისთვის.<sup>5</sup>

სხვაგვარად რომ ვთქვათ, მაშინ, როცა მედიაციის მონაწილე მხარეები ხშირად არ რეგრესირებენ ტექნიკური გაგებით ადრულ ეტაპებზე დაბრუნებით, ამის მიუხედავად, ისინი კი, ვინც ნორმალურ პირობებში არიან სტაბილურები, შეიძლება მიჯაჭვული აღმოჩნდნენ ნარცისულ თავდაცვაზე, როგორცაა მტრობა, პომპეზურობა და ძალმოსილება. ადამიანს უაქტიურდება თავდაცვითი სისტემა საფრთხის წინაშე აღმოჩენისას.

### 3. შეთავაზება და კონტრშეთავაზება, როგორც ნარცისული ტრავმა

პირველი რეალური იერიში მხარის გადაჭარბებულ თავდაჯერებულ იმედებსა და მოლოდინებზე არის გახსნილი შეთავაზება ან პირველი კონტრშეთავაზება. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდია მოლოდინი, ასეთ დროს იმედგაცრუებაც ძლიერი შეიძლება იყოს. მედიატორის პასუხები კი ამ დროს გადამწყვეტია. ისინი შესაძლოა შეიცავდეს შემდეგს:

**პატივისცემა.** მედიატორის მხრიდან მხარეთა მიმართ პატივისცემის გამოხატვა მიემართება პიროვნულობის ორ დონეს. ის ასახავს და ადასტურებს თითოეული მხარის ყოფიერების, როგორც ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტურ დონეს. თუმცა, ის ერთსა და იმავე დროს მიემართება ინტერპერსონალური კონფლიქტით სტიმულირებულ ფსიქოლოგიურ საკითხს - მხარის პიროვნულობის შეგრძნების საფუძვლიანობას, სტაბილურობასა და ღირებულებას. ამიტომ არის პრაქტიკა.

სიტყვა "პატივისცემა" მომდინარეობს ლათინური *respicere*-დან, „უკან გახედვა“.<sup>6</sup> პატივისცემა ნამდვილად არის არეკვლითი ფორმა, რომელიც, როგორც ვნახეთ, სხვისი პიროვნულობის მთლიანობის ამოცნობისა და მხარდაჭერის ერთ-ერთი მთავარი გზაა.<sup>7</sup> თუმცა, პატი-

<sup>1</sup> Brown, *შენიშვნა* 10, გვ.119 (აღნიშნავს, რომ არსებობს უფრო დიდი მგრძნობელობა და, შესაბამისად, მეტი პოტენციური დაზიანებული სიამაყისა და ბოროტი შურისძიებისა, „როდესაც მოვაჭრეები გრძნობენ, რომ გამოჩენილი აუდიტორიის წინაშე სულელურად ან სუსტად გამოიყურებიან ...“); Jerome S. Gans & Robert L. Weber, *The Detection of Shame in Group Psychotherapy: Uncovering the Hidden Emotion*, 50 INT'L. J. Group Psychotherapy 381, 392 (2000) (ჯგუფების საჯარო ხასიათი აძლიერებს სირცხვილის შეგრძნების გადაცემას); William K. Hahn, *Resolving Shame in Group Psychotherapy*, 44 INT'L. J. Group Psychotherapy 449, 459 (1994) (იგივე).

<sup>2</sup> იხ. W. Keith Campbell et al., *Narcissism, Confidence and Risk Attitude*, 17 J. Behav. Decision Making 297 (2004).

<sup>3</sup> Birke & Fox, *შენიშვნა* 1, გვ.15.

<sup>4</sup> იხ. De Dreu & van Knippenberg, *შენიშვნა* 11, გვ.346 (აღნიშნავს, რომ კონფლიქტები მოიცავს საფრთხეებს, რაც იწვევს პოზიტიურ ეფექტს; „ამ არასასიამოვნო მდგომარეობიდან დასაღწევად ადამიანები ეწევიან თვითგანვითარებას“); Deepak Malhotra & Max H. Bazerman, *Negotiation Genius: How to Overcome Obstacles and Achieve Brilliant Results at the Bargaining Table and Beyond* 135 (2007) (გადაჭარბებული თავდაჯერებულობა გამოწვეულია მოთხოვნილებით, რომ „ჩვენს თავს კარგად ვგრძნობდეთ“).

<sup>5</sup> Cf. Almaas, the Pearl, *შენიშვნა* 108, გვ.211-13 (მსჯელობა ძალის ბუნებრივ შეგრძნებაზე).

<sup>6</sup> Sin Yee Chan, *The Confucian Notion of Jing (Respect)*, 56 PHILLO. E. & W. 229, 240 (2006) (ციტირებს Robin Dillon-დან, *Respect and Care: Toward Moral Integration*, 22 Canadian J. Philo. 108 (1992)).

<sup>7</sup> იხ. მაგალითად, მსჯელობა *შენიშვნები*: 50, 59-60, 69, 93-97 და თანხმლები ტექსტი.. Cf. Robert A. Baruch Bush & Joseph P. Folger, *The Promise of Mediation: the Transformative Approach to Conflict* 73-75 (2005) (ტრანსფორმაციულ მედიაციაში მხარეებს შორის აღიარების წახალისების ახსნა).

ვისცემა არის აჩეკვდის მოწიფური ფოხმა.<sup>1</sup> შესაბამისად, ის მიმღებში ააშკარავებს და ხელს უწყობს მონიფულ პასუხებს.

ღუპინგი & აღდგენა. მედიატორის ისეთი ჩ ა რ ე ვ ე ბ ი, როგორიცაა „ღუპინგი“<sup>2</sup> ან აღდგენა, ასევე სასარგებლოა, უპირველეს ყოვლისა, რადგან ისინი ნარმოადგენს არეკვლის ფორმას. ამ პრაქტიკის საშუალებით მხარეები გრძნობენ აღიარებას, ზოგჯერ სრულ და ზოგჯერ თანაზიარს,<sup>3</sup> რაც მათ უბიძგებს იყვნენ ნაკლებად თავდაცვითი.<sup>4</sup>

ამ პრაქტიკაში ასევე მნიშვნელოვანია ის, რაც აჩ აჩის (უკუ)არეკლილი: მხარის ეგოს ძირითადი შენატანი არ არეკლება მედიატორის ნეიტრალურ საუბარში. არეკვლა, ამ კონტექსტში, ახალისებს მხარეს, განიხილოს თავისი და სხვების ხედვა ნაკლები ფსიქოლოგიური დატვირთვით.

თანაგზძნობა. მედიატორის თანაგრძნობა ასევე ეხმარება მხარეებს აღიდგინონ ამრეკლავი ფუნქციონირების უფრო ღრმა შეგრძნება და შორსმჭვრეტელობის უნარი. ეს შეიძლება იმის გამოა, რომ თანაგრძნობა გვახსენებს, ქვეცნობიერი ან იმპლიციტური მეხსიერების დონეზე,<sup>5</sup> ბავშვობის ადრეულ დღეებს, როდესაც პიროვნულობის ძირითადი გრძნობა განვითარდა სხვათა მიერ ჩვენს საჭიროებებზე ფოკუსირებისა და გაგების შედეგად.<sup>6</sup>

მხარეებისთვის, რომლებიც დიდი დოზით ნარცისები არიან, ან რომლებიც საკუთარ თავს დაუცველად გრძნობენ მედიაციის პროცესში, თანაგრძნობა შეიძლება პრობლემური იყოს. მათთვის „თანაგრძნობა კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს დამამცირებელ უკმარისობას საკუთარ თავში, რაც მათ მანამდე არ იცოდნენ“.<sup>7</sup> თანაგრძნობამ შეიძლება გამოიწვიოს სირცხვილის გრძნობა - რომლისგანაც დაცული იქნება - ვიდრე მხარდაჭერის გრძნობა. სხვანაირად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ნარცისიზმისთვის დამახასიათებელია სხვების მიმართ თანაგრძნობის უუნარობა,<sup>8</sup> მან ასევე შეიძლება გამოიწვიოს ისიც, რომ ზოგიერთმა საერთოდ უარი თქვას სხვების მხრიდან თანაგრძნობაზე.<sup>9</sup> შესაძლოა ამას, ნაცვლად, მოჰ-

<sup>1</sup> Jonathan R. Cohen, *When People Are the Means: Negotiating with Respect*, 14 *Geo. J. Legal Ethics* 739, 741, 754, n.38 (2001) (ხსნის, რომ ურთიერთპატივისცემა არის ან იყოს სამაგალითო უფროსებს შორის ურთიერთობებში) (ციტირებს Jean Piaget, *Sociological Studies* 119 (Leslie Smith ed., 1995)). მეტის გასაცნობად, იხ. *შენიშვნა* 121 და თანხმობები ტექსტი, და ასევე იხ. *ქვემოთ შენიშვნა* 186 და ნაწილი IV.F.

<sup>2</sup> Looping არის ტერმინი, რომელიც გამოყენებულია Gary J. Friedman-ისა და Jack Himmelstein-ის მიერ მედიატორის მიერ მხარეთა საუბრის ან ნეიტრალური პერიფრაზირების პროცესის დემონსტრირების აღსაწერად. Gary J. Friedman & Jack Himmelstein, *Resolving Conflict Together: The Understanding-Based Model of Mediation*, 2006 *J. Disp. Resol.* 523, 529-537 (2006) [hereinafter Friedman & Himmelstein, *Resolving Conflict*] (looping-ის პრაქტიკის განხილვა და დემონსტრაცია). იხ. ასევე, Gary J. Friedman & Jack Himmelstein, *Challenging Conflict: Mediating through Understanding* 68-76 (2008) (უფრო ფართოდ განიხილავს თეორიას). ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით ფილოსოფოსის შეხედულებისათვის, იხ. ასევე, Jacob Needleman, *Why Can't We be Good?* 58-81 (2007) (ერთი და იმავე პრაქტიკის დემონსტრირება და განხილვა, ტერმინი „ღუპინგი“-ის გამოყენების გარეშე).

<sup>3</sup> ურთიერთაღიარებასთან დაკავშირებით, იხ. *supra* Part I.B. სრული აღიარებისათვის, იხ. Barbara K. Eisold, *Profound Recognition: Where Does It Fit in Analytic Work?*, 35 *Contemp. Psychoanalysis* 107 (1999) (აღწერს ღრმა აღიარების მნიშვნელობას, ღრმად აღქმისა და აღიარების შეგრძნების გამოცდილებას).

<sup>4</sup> Roger Fisher & William J. Ury, *Getting to Yes: Negotiating Agreement without Giving in* 40-55 (Bruce Patton ed., 1983).

<sup>5</sup> Siegel, *შენიშვნა* 101, გვ. 29 („იმპლიციტური მეხსიერება მოიცავს ტვინის იმ ნაწილებს, რომლებიც არ საჭიროებს ცნობიერ დამუშავებას დაშიფვრის ან დასრულების დროს“).

<sup>6</sup> იხ. *შენიშვნები*: 59-62 და თანხმობები ტექსტი.

<sup>7</sup> Cynthia J. Shilkret, *Endangered by Interpretations: Treatment by Attitude of the Narcissistically Vulnerable Patient*, 23 *Psychoanalytic Psychol.* 30, 32 (2006). იხ. ასევე, Arnold H. Modell, *A Narcissistic Defense Against Affects and the Illusion of Self-Sufficiency*, 56 *INT'L J. Psychoanalysis* 275 (1975), *reprinted in Essential Papers, შენიშვნა* 2, გვ.293, 302 (საუბრობს თერაპიის კონტექსტში: „სადაც არის ნაადრევად განვითარებული და სუსტია პიროვნულობის შეგრძნება, რომელიც დაცულია ყოვლისშემძლეობისა და თვითკმარობის ფანტაზიებით, . . . აღიანსი შეუძლებელია.“); Bernard Apfelbaum, *Interpretive Neutrality*, 53 *J. Am. Psychoanalytic Ass'n* 917, 926-931 (2005) (ნარცისული კლიენტების ინტერპრეტაციაზე სირცხვილის რეაქციების განხილვა).

<sup>8</sup> იხ. *შენიშვნა* 78 for DSM IV criteria for Narcissistic Personality Disorder.

<sup>9</sup> იქვე. თუმცა, თანაგრძნობაზე უარის თქმა შეიძლება უბრალო მანევრიცაა. იხ. Bilyana Martinovski et al., *Rejection of Empathy in Negotiation*, 16 *Group Decision & Negot.* 61, 73 (2007).

ყვეს ნარცისულ დევალვაციაზე პასუხი.<sup>1</sup> თუმცა, შინაგანი პოზიტიური დამოკიდებულება შეიძლება ამ კლიენტებისთვის გამოსადეგი და მისაღები იყოს.<sup>2</sup>

#### 4. ჩიხი: ურთიერთადიარების კრიზისი

ხანდახან როგორი მტკივნეულიც უნდა იყოს, რადგან მოლაპარაკება გრძელდება, მხარეები იწყებენ უფრო მეტი მედეგობის შეძენასა და მეტი ინფორმაციის მიღებას მეორე მხარის ინტერესებსა და პოზიციებთან დაკავშირებით. ისინი ასევე იწყებენ იმის სწავლას, რაც მათ ადრე გადაჭარბებულად თავდაჯერებულ შეფასებებში არარეალურად მიაჩნდათ.

საბოლოოდ, მხარეები გადიან იქამდე, სადამდეც ჩიხი, ან თუნდაც ის, რაც ჩიხს ჰგავს, ხდება. ამ მომენტამდე, თითოეული მხარე ყურადღებას ამახვილებს მოლაპარაკების სასურველ შედეგზე. ამ ეტაპზე უკვე კი ხედვა უნდა მოიცავდეს უფრო სრულ სურათს, მისი დანაკლისისა, არა მხოლოდ მოგების, და სასამართლოს გზით დავის გაგრძელების შესაძლებლობით.

ეს არის ობიექტის მუდმივობის ტიპის დასაწყისი; როდესაც თითოეული მხარე გადადის სიტუაციისა და მეორე მხარის ყოველმხრივ, მათ შორის ინტერესებისა და პოზიციების, ხედვაზე.<sup>3</sup> თითოეულმა ასევე უნდა გააცნობიეროს საკუთარი პოზიციის სუსტი, და არა მხოლოდ ძლიერი, მხარე. ეს არის მზარდი ამრეკლავი ფუნქციონირება და კონფლიქტის უფრო ინტერსუბიექტური, რეალობაზე დაფუძნებული ხედვა.<sup>4</sup>

ამავდროულად, ეს არის მეტად იმედგამაცრუებელი დრო მხარეებისთვის, რადგან გადანყვეტა იმაზე რთული იქნება, ვიდრე ისინი იმედოვნებდნენ. თუმცა ეს გაზრდის დროა. ისინი იზრდებიან შეთანხმების შესაძლებლობაში.

ამ დროს მხარეთა დაცვითი უნარი ნაკლებად ძლიერი ხდება. მაგალითად, მათ შეუძლიათ განიხილონ ან თუნდაც მიიღონ „მედიატორის წინადადება“, რადგან ახლა დარწმუნებული არიან, რომ მათი ადრეული მიზნები მიღწევადი არ არის.

#### 5. მედიატორის შინაგანი სამუშაო ჩიხის დროს

როგორც კი ჩიხი წარმოიქმნება, მედიატორის ნარცისულმა საკითხებმა შესაძლოა დაინწყოს ზედაპირზე ამოსვლა. ამან შეიძლება სხვადასხვა ფორმა მიიღოს, მაგალითად, როგორცაა წარუმატებლობის ან „შეუსრულებლობის“ შიში. ამგვარად, პროცესის ეს ნაწილი ამომშემბს მედიატორის უნარს - გაათავისუფლოს პროფესიული ეგოს იდეალი,<sup>5</sup> დაივიწყოს დიადი ან ეფექტური თვით-გამოხატულება.

იდეალურ შემთხვევაში, პირი განიცდის „გაშვების“ შეგრძნებას, შეხსენებას, რომ თავისი ნამდვილი ღირებულება და ვინაობა არ განისაზღვრება მედიაციის შედეგით. როდესაც ის გა-

<sup>1</sup> დევალვაცია ნარცისული დაუცველობის ხშირი პასუხია. იხ. Otto Kernberg, *Factors in the Psychoanalytic Treatment of Narcissistic Personalities*, 18 J. Am. Psychoanalytic Ass'n 51 (1970), reprinted in *Essential Papers*, *შენიშვნა* 2, გვ. 218-19, 222, 230 („მათ უნდა გააუფასურონ ყველაფერი, რასაც მიიღებენ, რათა თავიდან აიცილონ შური“); იხ. *generally* Stucke & Sporer, *შენიშვნა* 83.

<sup>2</sup> იხ. *generally* Shilkret, *შენიშვნა* 169. იხ. ასევე, Kohut, *შენიშვნა* 67, გვ. 177 (აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, „მხოლოდ ანალიტიკოსის მზადყოფნა, იყოს ყურადღებიანი ჩუმი მსმენელი, პაციენტისთვის მისაღები იქნება“).

<sup>3</sup> იხ. ობიექტის მუდმივობის განხილვა *supra* Part I.A.

<sup>4</sup> როგორც ჯესიკა ბენჯამინი აღნიშნავს, მცდელობა, თუმცა სხვისი „წარუმატებელი“ განადგურება ურთიერთადიარების პროცესის იმპლიციტური ნაწილია. Benjamin, *შენიშვნა* 48. როდესაც მეორე გადარჩება, ერთი იძულებულია „გააგრძელოს ურთიერთობა მასთან, რომელიც ობიექტურად აღიქმება როგორც პიროვნულობის მიღმა არსებულად, როგორც საკუთრივ არსება.“ იქვე, 39. მე ამას აღვიქვამ როგორც მედიაციის სიტუაციის ანალოგს, როდესაც მხარეები ცდილობენ დაამტკიცონ თავიანთი ნება და დომინირება, მაგრამ უნდა აღიარონ ერთმანეთის ინტერესები ჩიხის გასასვლელად.

<sup>5</sup> იხ. ასევე, *supra* Part III.B (პროფესიული ეგოს იდეალის განხილვა).

თავისუფლდება, შეიძლება ერთგვარი სიმშვიდე განიცადოს შუა კონფლიქტის დროსაც კი. ეს გათავისუფლებამ შესაძლებელი გახადა.

ინტერსუბიექტური თეორეტიკოსი ჯესიკა ბენჯამინი წერს მსგავსი დინამიკის შესახებ ფსიქოანალიტიკური ჩიხის დროს. მკვლევარი უპირისპირდება საკუთარ სირცხვილს, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ „კრიზისი და აღდგენა უფრო დიდი პროცესის ნაწილია“.<sup>1</sup> ეს „დათმობა ნიშნავს ჩართულობის აუცილებლობის დიდ აღიარებას... ჩიხების დროს“, რადგან კრიზისი და აღდგენა ადამიანური ურთიერთობების გარდაუვალი შემადგენელი ნაწილია.<sup>2</sup> ეს უფრო მეტად არის „დათმობა, ვიდრე დამორჩილება“.<sup>3</sup> ის ასევე „დაასრულებს წინააღმდეგობის გავლას“, სადაც „ორიდან ერთი წევრი ცდილობს ცუდი ჩადოს მეორეში“.<sup>4</sup>

დანიელ სტერნი ასევე აღნიშნავს, რომ თერაპიის (და მოლაპარაკებების/მედიაციის)<sup>5</sup> გარკვეული გადამწყვეტი მომენტების დროს „არსებობს დაუყოვნებლივი შეგრძნება, რომ არსებულ ინტერსუბიექტურ ველს საფრთხე ემუქრება...“<sup>6</sup> რაღაც არის საჭირო იმისათვის, რომ მოგვარდეს შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობა,<sup>7</sup> მაგრამ „თერაპევტი თავს განიარაღებულად გრძნობს და შფოთვის დონე იზრდება, რადგან მან ზუსტად არ იცის, რა გააკეთოს“.<sup>8</sup> სიტუაცია მოითხოვს რაღაცას „ნეიტრალური, ტექნიკური პასუხის“ მიღმა.<sup>9</sup> კრიზისის მოსაგვარებლად საჭიროა „შეხვედრის მომენტი“, ნამდვილი ინტერპერსონალური ურთიერთობის მომენტი.<sup>10</sup>

ეს „შეხვედრის მომენტი“ დგება მედიაციის დროს მაშინ, როდესაც მხარეებს ეცნობებათ მედიატორის გულწრფელი რწმენა, რომ დავა შეიძლება მართლაც არ მივიდეს შეთანხმებამდე. ეს მათ აძლიერებთ, რადგან ახლა პირადი პასუხისმგებლობის დრო დგება; მათ უნდა გადაწყვიტონ, მიიყვანონ თუ არა საკითხი გადაწყვეტამდე. ამ კრიტიკულ მომენტში, ჯესიკა ბენჯამინის პერიფრაზირებით, თავად მედიატორი პირველია, ვინც იცვლება და სწორედ მისი ცვლილებაა ის, რაც, საბოლოო ჯამში, შესაძლებელს ხდის კლიენტის ცვლილებას.<sup>11</sup>

## 6. პატივისცემა და შეხვედრის მომენტი: კრიტიკული მომენტები მედიაციაში

მედიატორის პატივისცემამ და მხარეების მიერ დამონმებამ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს, რათა დაეხმაროს მათ, გაათავისუფლონ თავიანთი ეგოს ინვესტიციები დავაში და უფრო მკაფიოდ აწონ-დანონონ თავიანთი არჩევანი. იდეალურ სიტუაციაში, მედიატორის პატივისცემა კლიენტის მიმართ მის დილემაზე ბუნებრივი, მორგებული პასუხია ასეთ დროს.<sup>12</sup>

<sup>1</sup> Jessica Benjamin, *Beyond Doer and Done To: An Intersubjective View of Thirdness*, LXXIII Psychoanal. Q. 5, 29 (2004) [hereinafter Benjamin, *Beyond Doer*].

<sup>2</sup> იქვე. ბენჯამინი ასევე საუბრობს მესამედ ყოფნის ფსიქოანალიტიკურ კონცეფციაზე, რაც არ არის განხილული ამ სტატიაში. იქვე.

<sup>3</sup> იქვე, 32.

<sup>4</sup> იქვე, 33.

<sup>5</sup> სტერნის ანალოგიაზე თერაპიასა და მოლაპარაკებას შორის, იხ. Stern, *შენიშვნა* 135, გვ. 367.

<sup>6</sup> Stern, *Present Moment* *შენიშვნა* 51, გვ.167.

<sup>7</sup> Stern, *შენიშვნა* 135, გვ. 370.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> Stern, *Present Moment*, *შენიშვნა* 51, გვ.168.

<sup>10</sup> იქვე, 172.

<sup>11</sup> Benjamin, *Beyond Doer*, *შენიშვნა* 178, გვ.32. ინტერსუბიექტური შეხედულება ადასტურებს ანალიტიკოსის ცვლილების მნიშვნელობას და არა მხოლოდ მის კლიენტებში. იქვე. ეს შეიძლება მოიცავდეს ანალიტიკოსის მიერ საკუთარი უუნარობის აღიარებას კლიენტებისთვის გამოსავლის პოვნის შესახებ, რაც შეიძლება, ბედის ირონიით, დაეხმაროს როგორც კლიენტს, ასევე თერაპევტს გადაწყვეტილების მიღწევაში. იქვე, 38-41. თუ ვივარაუდებთ, რომ მსგავსი პრინციპები გამოიყენება მედიაციაშიც, ეს ავსებს, მაგრამ განსხვავებულია იმ ზოგიერთი მიდგომისგან, რომელიც აღწევს *მხაჩეთა* ან მათი ურთიერთქმედებების შეცვლას. იხ. e.g., Bush & Folger, *შენიშვნა* 160, გვ. 233 (განხილულია მხარეთა კონფლიქტური ურთიერთქმედების ტრანსფორმაციის მნიშვნელობა).

<sup>12</sup> პატივისცემის ბუნებრივობა აჩვენებს მის ნამდვილობას:

როდესაც მე ვაცნობიხებ შენდამი პატივისცემას, უფრო სავარაუდოა, რომ ვიყო ღმრთისმოსავად სულელი ან, შესაძლოა, თვითშეგნებულად შერცხვენილი... [არა], ურთიერთპატივისცემის ავთენტურობა არ

ეს საშუალებას იძლევა შინაგანად მხარი დაუჭიროს კლიენტს მისი ნამდვილი ღირებულები-სა და იდენტობის დონეზე, რაც არის არ არის დამოკიდებული სხვების აზრზე ან მედიაციის შედეგზე. თუმცა, მედიატორმა, ამავე დროს, უნდა დაიცვას შესაბამისი, უსაფრთხო და პატივსაცემი დისტანცია.<sup>1</sup>

ეს „შეხვედრის მომენტები“ შეიძლება იყოს თერაპიული მომენტები, როგორც ინტერსუ-ბიექტური თეორეტიკოსები ამბობენ, „თითოეულ მნიშვნელოვან ემოციურ სიტუაციას ინდივი-დის ცხოვრებაში შეუძლია პოტენციურად შექმნას ტრანსფორმაცია, არა იმიტომ, რომ წინა დამოკიდებულება (ცნობიერი ან არაცნობიერი) შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ ახალი ორგანიზებული პრინციპები ჩამოყალიბდა“.<sup>2</sup>

თუმცა მიზანი არ არის მხოლოდ თერაპიული. თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ დაეხმა-როთ კლიენტს მოლაპარაკების პროცესში არსებული საკითხებისგან გათავისუფლებაში, რა-თა ხელი შეუწყოს თვითიდენტობის შეგრძნებასა და ობიექტურ აზროვნებას. იდეალურ შემ-თხვევაში, ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისით, ამ დროს მედიატორის მიერ ჰარმონიული არეკვლა და ამრეკლავი აზროვნების ნახაღისება ეხმარება მხარეს შეასრულოს საკუთარი ამრეკლავი ფუნქცია.<sup>3</sup> აღმაასისა და მუქადამის ხედვით, იდეალურ შემთხვევაში, მედიატო-რის პატივისცემა ხელს უწყობს ეგოს აქტივობის საკმაო განთავისუფლებას, რათა გააქტიურ-დეს საკუთარი პიროვნულობისა და ობიექტურობის გრძნობა.<sup>4</sup>

## 7. შეფასების როლი

მიუხედავად იმისა, რომ შეფასება მედიაციის ადრეულ ეტაპებზე შეიძლება არ იყოს მი-ზანშეწონილი, თუმცა, იმედია, რომ ჩიხის შექმნის მომენტისთვის მხარის ურთიერთობა მე-დიატორთან მივა იქამდე, როცა ეს მისასალმებელი იქნება.

ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მედიაცია და შეფასება არსებითად ურთიერთგამომრიცხავი-ა.<sup>5</sup> პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხების პერსპექტივიდან გამომდინარე, მიუხედავად ამისა, მედიატორის უპირველესი ამოცანაა ნაახაღისოს მხარეები, გამოაცოცხლონ საკუთარი ამრეკლავი ფუნქციონირება<sup>6</sup> და ობიექტურობის უნარი, რათა მი-ნიმუმამდე დაიყვანონ ან გაანეიტრალონ ნარცისული ინვესტიციები კონფლიქტში. გარკვე-ულწილად, კონფლიქტის ალტერნატიული შეხედულებების გაჟღერება, ზოგჯერ მედიატორის

---

მოითხოვს, რომ მე... ყურადღება გავამახვილო შენდამი პატივისცემაზე; იგი სრულად გამოიხატება მოქმედების სწორ „ცოცხალ“ და სპონტანურ შესრულებაში.

Herbert Fingarette, *Confucius - the Secular as Sacred* 9 (1972). მიუხედავად ამისა, მედიატორის მომზადება მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ ის ეხმარება ადამიანს შეუქმნას საფუძველი, საიდანაც ბუნებრივად წარმოიქმნება ეს პატივისცემა.

<sup>1</sup> Eisold, *შენიშვნა* 163, გვ.111 („სივრცე, პატივისცემის დისტანციის შენარჩუნება, კავშირის დამყარების მკაფიო გრძნობასთან ერთად... [ღრმა] აღიარების აუცილებელი ასპექტებია“.

<sup>2</sup> Gianni Nebbiosi, *Organizing Patterns in a Dyad and in a Group: Theoretical and Clinical Implications*, 23 *Psychoanalytic Inquiry* 750, 756 (2003) (quoting R.D. Stolorow & G.E. Atwood, *Contexts of Being: the Intersubjective Foundations of Psychological Life* (1<sup>st</sup> ed., 1992)).

<sup>3</sup> იხ. *supra* Part I.C (ამრეკლავი ფუნქციონირების განხილვა).

<sup>4</sup> კომუნიკაცია ფეისალ მუკადამთან (Mar. 2007). ნეირომეცნიერული თვალსაზრისით, თუ ემპათიური რეზონანსი საკმარისად ღრმაა, მედიატორის პატივისცემა შეიძლება რეალურად დაეხმაროს მხარეს, მიიღოს წვდომა საკუთარ თავმოყვარეობაზე სარკისებური ნეირონების მეშვეობით. იხ. *შენიშვნა* 146 (მსჯელობა ემპათიურ რეზონანსზე). იხ. ასევე, Gallese, *შენიშვნა* 95, გვ. 161-62.

<sup>5</sup> იხ. Leonard L. Riskin, *Understanding Mediators' Orientations, Strategies, and Techniques: A Grid for the Perplexed*, 1 *Harv. Negot. L. Rev.* 7 (1996) (მედიაციის განსხვავებული მიდგომების განხილვა); Leonard L. Riskin, *Decisionmaking in Mediation: The New Old Grid and the New New Grid System*, 79 *Notre Dame L. Rev.* 1 (2003) (მედიაციის სტილში განსხვავებების დამატებითი ანალიზი). იხ. ასევე, E. Patrick McDermott & Ruth Obar, *What's Going on in Mediation, An Empirical Analysis of the Influence of a Mediator's Style on Party Satisfaction and Monetary Benefit*, 9 *Harv. Negot. L. Rev.* 75, 80-89 (2004) (შეფასების შეხედულებების შეჯამება).

<sup>6</sup> იხ. *supra* Part I.C (ამრეკლავი ფუნქციონირების განხილვა).



შეხედულებების ჩათვლით, აუცილებელია დიალოგის იმ დონეზე გადასაყვანად, სადაც ამ ტიპის აზროვნება არსებობს.

წინასწარ, რა თქმა უნდა, უნდა დავრწმუნდეთ, რომ მხარეებს ესმით ერთმანეთის ქმედებების მიზეზები.<sup>1</sup> ეს არის რეფლექსური ფუნქციონირების დამახასიათებელი ნიშანი.<sup>2</sup> თუმცა, საჭიროების შემთხვევაში,<sup>3</sup> პატივისცემით საუბარი მხარეთა პოზიციების ძლიერ და სუსტ მხარეებზე, როდესაც ეს ხდება უსაფრთხო გარემოში, შეიძლება ასევე დაეხმაროს კონფლიქტის დეპერსონალიზაციასა და თვითგანვითარების მიკერძოების შემცირებას.<sup>4</sup>

შეფასება შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს მათთვის, ვისაც ნარცისული ტენდენციები ახასიათებს. მათი გრანდიოზულობის გამო, მათ შეიძლება უჭირდეთ წინასწარ განსაზღვრონ თავიანთი ქმედებების უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები.<sup>5</sup>

ზოგიერთი ადამიანი, ვისაც ანალიტიკოსები „სქელკანიან“ ნარცისებს უწოდებენ, ასევე უგრძნობია გრძნობების მიმართ.<sup>6</sup> შესაძლოა, რეკომენდებული იყოს მათთან დაპირისპირება.<sup>7</sup> მიზნების განხილვა, ვიდრე გრძნობების, ყველაზე ეფექტური იქნება ამ კლიენტებთან.<sup>8</sup>

თუმცა ეს შეიძლება იყოს რთული გამოცდილება. ძლიერი ნარცისული ტენდენციების მქონე ადამიანები ხშირად ხდებიან დევალიზირებული ან აგრესიული უკუკავშირის საპასუხოდ.<sup>9</sup>

ის, თუ როგორ რეაგირებს ადამიანი, შინაგანად და გარედან, არის გამოვლინება იმისა, თუ რამდენად გაუმკლავდა საკუთარ ნარცისულ საკითხებს და შეუძლია დადგეს საკუთარ ადგილზე და დარჩეს თავის როლში.

## 8. იდენტობის გათავისუფლება გადანყვეტის პროცესში

ჩიხში მუშაობის პროცესში შეიძლება მოხდეს ერთი ან მეტი მხარისათვის რაიმე სახის ხელახალი მოლაპარაკების ან იდენტობის გათავისუფლების მსგავსი რამ. კონფლიქტის თანდაყოლილი შეუძლებელი, მტკივნეული, პრაქტიკული დილემების წინაშე ისინი ხვდებიან, რომ მათ მდგომარეობას ამძაფრებს მედიაციის შედეგსა და საკუთარ იდენტობას შორის არსებული კავშირი. კონფლიქტის ზეგავლენის ქვეშ, ისინი ახერხებენ კითხვის დასმას და ამ ორს შორის კავშირის განყვეტასაც კი.<sup>10</sup>

<sup>1</sup> Keith G. Allred et al., *The Influence of Anger and Compassion on Negotiation Performance*, 70 *ORG. Behav. & Human Decision Processes* 175, 185 (1997) (ადამიანებს შეუძლიათ აირიდონ ზედმეტად დიდი ბრაზი იმ ფაქტორების აღმოჩენით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სხვის ქცევაზე); Pillutla & Murnighan, *შენიშვნა* 10, გვ. 209 („ბრაზი და წყენა ყველაზე ძლიერია, როდესაც ცუდი შედეგები არაადეკვატურადაა ახსნილი“)

<sup>2</sup> იხ. *ზემოთ ნაწილი* I.C (ამრეკლავი ფუნქციონირების განხილვა).

<sup>3</sup> შესაძლოა, პირმა ბევრი მიზეზის გამო შეიკავოს საკუთარი აზრის დაფიქსირება; არ მიმაჩნია, რომ შეფასება ვალდებულიაა. კანონის განხილვისას გაგებაზე დამყარებული მედიაციის კონტექსტში, იხ. Friedman & Himmelstein, *Resolving Conflict*, *შენიშვნა* 162, გვ. 548-49.

<sup>4</sup> Korobkin, *შენიშვნა* 148, გვ. 284-98 (სხვადასხვა შეფასების ტექნიკის სარგებლიანობის განხილვა მიკერძოებული მხარეებისთვის); Adler, *შენიშვნა* 13, გვ.172 („ჩვენი ოპონენტების განზრახვების შესახებ ნაჩქარევი განსჯისგან თავის არიდება მოითხოვს რეალისტურ, მკაფიო აზროვნებას“); De Dreu & van Knippenberg, *შენიშვნა* 11, გვ.355 („როდესაც ინდივიდები მოტივირებული არიან ინფორმაციის საფუძვლიანად დასამუშავებლად, მათი თვითგაძლიერების ტენდენციები მცირდება...“).

<sup>5</sup> Michael Maccoby, *Narcissistic Leaders: The Incredible Pros, The Inevitable Cons*, 2 *HARV. BUS. REV.* 69-77 (2000) (ნარცისებს შეუძლიათ გადაჭარბებული თავდაჯერებულობის გამო საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ); Campbell, *შენიშვნა* 153 (გრანდიოზულობისა და გადაჭარბებული თავდაჯერებულობის განხილვა და ავტორების კვლევები, რომლებიც სწავლობს კორელაციას ნარცისიზმსა და გარისკვას შორის).

<sup>6</sup> Shilkret, *შენიშვნა* 167, გვ. 32.

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> მე გარდაცვლილი ლორა ფეროუს ვალში ვარ იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთ ადამიანთან მიზანზე ორიენტირებული დისკუსია უფრო ეფექტურია, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის დისკუსია.

<sup>9</sup> იხ. *შენიშვნა* 84, 170-172 და თანმხლები ტექსტი.

<sup>10</sup> მე მიმაჩნია, რომ ეს პუნქტი შეესაბამება იმას, რასაც გარი ფრიდმანი და ჯეკ ჰიმელშტეინი უწოდებენ კონფლიქტის ბირთვის მიღწევას. Gary Friedman & Jack Himmelstein, *Getting to the Heart of the Matter*, Center for Mediation in Law (May 2004).

იდენტობის გათავისუფლება არის კრიტიკული მომენტი, სავარაუდოდ ნამდვილად კრიტიკული მომენტი, მედიაციაში.<sup>1</sup> როდესაც ეს ხდება, შემდგომ აზროვნება უფრო მკაფიოა და ფუნქციონირება - ამრეკლავი.<sup>2</sup>

ეს პროცესი შეიძლება რთულად ჟღერდეს, მაგრამ საკმაოდ მარტივია. მხარემ შეიძლება უბრალოდ გადაწყვიტოს არ იტანჯოს ან აღარ იბრძოლოს მოლაპარაკების დროს მაგიდაზე დარჩენილი ბოლო ნივთის გამო. შინაგანად - და ამის თქმის აუცილებლობის გარეშე - სახე-ზეა გათავისუფლება.

თუმცა არ უნდა დავამცროთ ეს მიღწევა. ზოგიერთისთვის ის წარმოადგენს იდენტობის ასპექტის განთავისუფლებას, რასაც ეწოდება მიუჭაჭველობა,<sup>3</sup> დისიდენტიფიკაცია<sup>4</sup> ან „გაშვება“<sup>5</sup> რელიგიური თუ ფსიქოლოგიური<sup>6</sup> პრაქტიკის ენაზე. სხვებისთვის ეს ნაკლებად მთავარი და ნაკლებად რთული გამოცდილება იქნება.

## 9. გადაწყვეტა

იდენტობის გათავისუფლება ხშირად არის სიგნალი იმ მოვლენისა, რომელიც გადაწყვეტას იუწყება. მხარე გადაწყვეტს გადავიდეს იმ პოზიციიდან, რომელიც ადრე უძრავად გამოიყურებოდა და საქმეც წყდება.

სხვა შემთხვევაში, რეზოლუცია სხვა ფორმით მოდის. ვიღაცას უჩნდება ახალი იდეა უფსკრულის გადასალახად. მედიატორი ქმნის იმ შესაძლებლობას, რომელიც ადრე უარყოფილი იქნებოდა, მაგრამ ახლა შესასრულებლად ითვლება. მოლოდინებისა და იდენტობის გათავისუფლებით შექმნილი სივრციდან გამოჩნდა საკითხის გადაწყვეტა.

## 10. რეზოლუციის შემდეგ – ობიექტის მუდმივობისკენ

თუ ვივარაუდებთ, რომ მხარეებმა მართლაც მოაგვარეს თავიანთი დავა, ისინი ხშირად იქნებიან გარკვეულწილად იმედგაცრუებული იმით, რომ მათ ვერ მიაღწიეს იმ მიზნებს, რომლებიც ადრე სურდათ. სისრულეში მოყვანის უნარი ნაწილობრივ იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებენ თუ არა ისინი სრულყოფილად მიიღონ შესაბამისი დეფლაცია იმის ასახვის გარეშე, თუ ვინ არიან ისინი.

კომპრომისის მიღების მათი უნარი ასევე ნაწილობრივ იქნება დამოკიდებული იმაზე, შეძლებენ თუ არა ისინი, უარი თქვან მეორე მხარის დემონიზაციის სურვილზე, კონფლიქტის მხოლოდ ბრძოლად „კარგ მე“-და და „ბოროტ სხვა“-დ შორის გაყოფად. ეს არის კარგად მომნიჭებული „ობიექტის მუდმივობის“ კომპონენტები.<sup>7</sup>

უცნაურია, რომ მრავალმხარიან სამართალწარმოებაში ეს ხშირად უფრო რთული ან ნაკლებად მიმზიდველია მათთვის, ვინც შედარებით ნაკლებად რისკავს სადავო საქმეში, ანუ

<sup>1</sup> იხ. *შენიშვნები*: 9 და 135-136 (მოლაპარაკების კრიტიკული მომენტების კონცეფციის განხილვა).

<sup>2</sup> იხ. *ზემოთ ნაწილი* I.C (ამრეკლავი ფუნქციონირების განხილვა).

<sup>3</sup> Elizabeth J. Harris, *Detachment and Compassion in Early Buddhism*, Buddhist Publication Soc'y (1997).

<sup>4</sup> Almaas, the Pearl, *შენიშვნა* 108, გვ. 60. („შინაგან რეალიზებაზე მუშაობა, თუმცა, მოითხოვს, რომ ადამიანმა გააცნობიეროს ყველა ეგოს განსაზღვრება, რომელიც გამოიყენება იდენტობისთვის, და შემდეგ თანდათან (ან ზოგჯერ მოულოდნელად) გათავისუფლდეს ამ გონებრივი შინაარსისგან“); Epstein, *შენიშვნა* 103, გვ.48.

<sup>5</sup> Brach, *შენიშვნა* 106, გვ.35-36, 43 n.11 (ციტირებს Jack Kornfield-ს, *a Path with Heart, a Guide through the Perils and Promises of Spiritual Life* 112 (1993)).

<sup>6</sup> Cf. Jeffrey R. Martin, *Mindfulness: A Proposed Common Factor*, 7 J. Psychotherapy Integration 291, 292, 296-310 (1997) (კამათობს ტერმინებზე, როგორცაა „დეავტომპატიზაცია“, „განცალკევება“, „დეცენტრირება“ და „არამიჭაჭველობა“, რომლებიც გამოიყენება ზოგიერთი ავტორის მიერ ფსიქოთერაპიის შესახებ, ასევე ეხება ცნობიერებაში ნაპოვნი ფსიქოლოგიური თავისუფლების ტიპს).

<sup>7</sup> იხ. *supra* Part I.A (ობიექტის მუდმივობის განხილვა, როგორც ობიექტში დადებითი და უარყოფითი ასპექტების ჩართვისა და გაყოფის გადაჭრის უნარი). იხ. ასევე, *შენიშვნები*: 40-42 და თანმხლები ტექსტი.

უფრო პატარა მოთამაშეებისთვის. ვინაიდან მათ იციან, რომ ისინი ნაკლებად მონყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე სხვები მედიაციაში, მათ ხშირად გაუჭირდებათ მიიღონ მოლაპარაკების შესაძლებლობით კამათის შეწყვეტა.

## 11. დასკვნა

პიროვნულობისა და თვითიდენტობის საკითხები ჩართულია ადამიანური კონფლიქტის მოგვარების ყველა ასპექტში. სხვადასხვა დისციპლინის აზროვნებას შეუძლია დაგვეხმაროს გავიგოთ, როგორ მოქმედებს ისინი მედიაციაზე, თუმცა პიროვნულობის ბუნება და თვითიდენტობა ყოველთვის დარჩება საიდუმლოდ, თუ ვინ ვართ ჩვენ.

|